„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№12 (204)
დეკემბერი
2015 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეჩვიდმეტე წელი “LITERATURULI MESKHETI” “ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

წარმატებული უნივერსიტეტის ღირსეული იუბილე

ხშირად გვიწევს ხოლმე ქართველი ერის სასიქადულო მამულიშვილთა გამონათქვამების მოშველიება ამა თუ იმ საკითხებზე, მაგრამ როდესაც იგი შენს მხარეს, იმ ადგილს ეხება, სადაც დაიბადე და გაიზარდე, ალბათ, მართლა ღირს ხშირად ვიხსენებდეთ მათ ნაფიქრალ-ნააზრევს, რადგან ჩვენი ახალგაზრდობისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მესხეთის ბედუკუღმართობაზე სულმნათი ილია ბრძანებდა: **„ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარულისათვის თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს“.**

ამით კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, თუ ვისი გორისანი ვართ, რანი ვიყავით, რანი ვართ ახლა!

ათას ჭირვარამგამოვლილ მხარეს ყოველთვის უჭირდა კადრო პოლიტიკა ყოველთვის განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს. იმ ურთულეს პერიოდში, როდესაც კიდევ უფრო დიდი პრობლემებით ცხოვრობდა სამცხე-ჯავახეთი, საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი – ცნობილი მეცნიერისა და პატრიოტის **მერაბ ბერიძის** ინიციატივით 1990 წელს, ახალციხეში, გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. ეს

როგორც ეკონომიურად, სულიერად, ასევე ინტელექტუალურად. იგი სხვა პრობლემებთან ერთად ყოველთვის უმწვავესად განიცდიდა მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ამიტომ კადრების მოზიდვა რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა განაწილების ხარჯზე ხდებოდა. სამწუხაროდ, მათი დამაგრებაც, გარკვეულწილად, ვერ ხერხდებოდა და კადრების გადინება მასიურ ხასიათს ღებულობდა.

ნათქვამია – „კადრები წყვეტენ ყველაფერს„! ამიტომაც საწინ გადადგმული ნაბიჯი, მაშინ, გმირობის ტოლფასი იყო, რადგან, ასეთი უმნიშვნელოვანესი საქმისადმი შეჭიდება, ყველა მოკვდავ ადამიანს, როგორი ერუდიციისაც არ უნდა ყოფილიყო, დიდი გამოცდის წინაშე აყენებდა. სწორედ ასეთი გამოცდის წინაშე დადგა მაშინ მერაბ ბერიძე თავის ერთგულ თანამოაზრეებთან ერთად და დღეს, სხვაგვარად „ჰყვავის“ მესხეთის დედა უნივერსიტეტი – განათლების ჭეშმარიტი, მტკიცედ დამკვიდრებული და ფართო ასპარეზზე გამოსული ცოდნის კერა.

ერთი წუთით თვალი გადავლოთ მესხეთის საუნივერსიტეტო ცხოვრებას, რომელიც მან გაიარა მეოთხედ საუკუნეში. უპირველესად, უნდა ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიარა გზა, რომელიც იავარდებით არ ყოფილა მოფენილი. ამ ხნის განმავლობაში, წინააღმდეგობების მიუხედავად, ბევრი ფასდაუდებელი საქმე გაკეთდა და სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ: მიზანი მიღწეულია!



ამჟამად რეგიონის (და არა მარტო რეგიონის) ნებისმიერ სტრუქტურაში, – სახელმწიფო დაქვემდებარების იქნება თუ კერძო, აბსოლუტურად ყველგან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მოღვაწეობენ, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს მინდობილ საქმეს. დღეს, მესხეთში, პრობლემას აღარ წარმოადგენს კვალიფიციური კადრები, რადგან უნივერსიტეტმა შეძლო ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტა:

ახალციხე საუნივერსიტეტო ქალაქად იქცა. მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დღითიდღე უმჯობესდება და, ფაქტიურად, საერთაშორისო სტანდარტების დონესაც მიაღწია. თავდაპირველად, ახალციხეში, საუნივერსიტეტო ცხოვრება სამი სპეციალობით დაიწყო – ქართული ენა და ლიტერატურა (30 კაცი), ისტორია (30 კაცი), სოციალური და ეკონომიკური

დაგეგმვა (სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით – 40 კაცი). ამჟამად უნივერსიტეტში ოთხი ფაკულტეტია; რექტორატის დიდი მცდელობით ჯავახეთში – ახალქალაქშიც დიდი ხანია ფუნქციონირებს ასევე დიდი პერსპექტივების მქონე ფილიალი, ორივეგან კი 1500-მდე სტუდენტი სწავლობს და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრება ჯავახეთის ცენტრშიც აღორძინდეს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონების უნივერსიტეტებს შორის ერთ-ერთია, ვისაც სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი აქვს. აქ 200-მდე პროფესორ-მასწავლებელი და ტექნიკური პერსონალი ემსახურება სტუდენტთა სწავლა-აღზრის საქმეს. მათ შორის – 15 პროფესორი, 46 – ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ-პროფესორი. 25 წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი 7000-ზე მეტმა სტუდენტმა დაამთავრა. კურსდამთავრებულთაგან ამავე უნივერსიტეტში დასაქმებულია სამეცნიერო ხარისხის მქონე 30-მდე ლექტორ-მასწავლებელი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს თამამად შეუძლია იამაყოს, – იგი წამყვან უნივერსიტეტად იქცა და საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შარშან, ჟენევაში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საუკეთესო მენეჯმენტისა და პრესტიჟისათვის საერთაშორისო ორგანიზაციის (პარიზი) მიერ დაჯილდოვდა „ოქროს დელფინით“.

ყოველივე ამის ფონზე 25-წლოვანი საიუბილეო თარიღიც უნივერსიტეტმა ღირსეულად აღნიშნა ამა წლის 16 ნოემბერს. ეს დღე ერთ-ერთ უმ-

ნიშვნელოვანეს დღედ ჩაიწერება სამცხე-ჯავახეთის ისტორიაში. მსგავსი ღონისძიება ხომ იშვიათობას წარმოადგენს ნებისმიერი რეგიონისთვის, მით უფრო, მესხეთისთვის. ქვეყნის საგანმანათლებლო ელიტამ ერთდროულად მოიყარა თავი ახალქალაქსა და ახალციხეში. თავდაპირველად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე,** აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**, თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი **ლადო პაპავა**, საპატრიარქოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**, თურქეთის რესპუბლიკის არტაანის უნივერსიტეტის რექტორი **რამაზან ქორქმაზი**, ართვინის – ჭოროხის უნივერსიტეტის რექტორი **მეამედ დუმანი** და სხვ. დაესწრნენ ახალქალაქში სამცხე-ჯავახეთის ფილიალში 200 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლის გახსნის საზეიმო ცერემონიალს და მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს; სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის რექტორმა **მერაბ ბერიძემ** საპატიო სტუმრებს დაათვალიერებინა თანამედროვე დონეზე გარემონტებული სტუდენტთა საცხოვრებელი

დასასრული მე-2 გვ. ▶

◀ დასაწყისი გვ. 1

კორპუსი, სადაც საუკეთესო პირობებია შექმნილი სტუდენტთა ნორმალური ცხოვრებისათვის.

შემდეგ ახალციხე... ხალხით გადაჭედილი სახელმწიფო თეატრი...

საზეიმო ღონისძიებას შესავალი სიტყვით ხსნის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში **მაკა ბერიძე**. შემდეგ ტრიბუნას იკავებს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მერაბ ბერიძე**, რომელმაც თავის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში ძირეულად მიმოიხილა უნივერსიტეტის მიერ განვლილი სახელოვანი 25-წლიანი გზა. ისაუბრა იმაზეც, თუ როგორ ჩამოყალიბდა აღნიშნული უნივერსიტეტი, როგორ შექმნა ენთუზიასტთა ჯგუფი, რა პირობებში უხდებოდათ გზის გაკვალვა, რა ურთულესი წლები გაიარეს – სიცივე, უშუქობა, უსახსრობა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, უტრანსპორტობა... დღეს უნივერსიტეტი არა მარტო უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერაა, არამედ დიდი სამეცნიერო პოტენციალიც გააჩნია და ყველა პირობაა შექმნილი ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისთვის. მერაბ ბერიძემ დიდი მადლობა გადაუხადა ყველა იმას, ვინც მხარში დაუდგა და დახმარება გაუწია ამ დონის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში.

უნივერსიტეტის საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს თითქმის ყველა წამყვანი უნივერსიტეტის, თურქეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტების დელეგაციები, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი, გუბერნიის პასუხიმგებელი მუშაკები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრები, გამგებლები, სხვა ოფიციალური პირები და საზოგადოების წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ და იუბილე მიულოცეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ, ცაგერისა** და **ლენტეხის მიტროპოლიტმა. მეუფე სტეფანემ,** ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, **მეუფე თეოდორემ,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ პროფესორმა **გიორგი აბესაძემ,** შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **ირმა შილაშვილი** აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **გიორგი ღავთაძემ**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ჯონი აფაქიძემ**, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **გიორგი სოსიაშვილმა**, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ერმილე მესხიამ**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა**, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **თემურ ჭკუასელმა**, საქართველოს პარლამენტის წევრებმა **ზაქარია ქუცნაშვილმა** და **ვაჟა ჩიტაშვილმა**, სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში **აკაკი მაჭუტაძემ**, ახალციხის მერმა **გიორგი კოპაძემ**, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა მელიქიძემ**, „კახური ტრადიციული მეღვინეობის" დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ ჩხაიძემ**, არტაანის უნივერსიტეტის რექტორმა **რამაზან ქორქმაზმა**, ართვინის – ჭოროხის უნივერსიტეტის რექტორმა **მემედ დუმანმა**.

აბსოლუტურად ყველა გამომსვლელმა იუბილარ უნივერსიტეტს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა, ხოლო, თავის მხრივ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის საპატიო წოდება მიენიჭა არტაანის და ართვინის – ჭოროხის უნივერსიტეტების რექტორებს **რამაზან ქორქმაზს** და **მემედ დუმანს**, აკადემიკოსებს **როინ მეტრეველსა** და **ვლადიმერ პაპავას**.

ასევე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს **თამარ სანიკიძესა** და აკადემიკოს **როინ მეტრეველს** (რომლის უშუალო მხარდაჭერით, თსუ-ის რექტორობის პერიოდში, მოხდა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის დაარსება), გადაეცათ უნივერსიტეტის სპეციალური მედლები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპეციალური მედლებით დაჯილდოვდნენ პროფესორები **ნათელა ბერიძე** და **თინა იველაშვილი**, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელები გადაეცა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებელთა ერთ ნაწილს.

ავთანდილ მესხი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 25

1990 წელს დედა უნივერსიტეტის თანადგომით სამცხე-ჯავახეთში დაარსდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელიც რეგიონის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერად იქცა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი გახლდათ ქვეყნის პოლიტიკურ თუ საგანმანათლებლო ცხოვრებაში, რადგან მესხეთში, ქართული კულტურის ამ ძირძველ კუთხეში, კულტურისა და განათლების ხელახალ აღორძინებასა და განახლებას შეუწყო ხელი.

მართალია წლების მანძილზე უნივერსიტეტი იცვლიდა პროფილს, მაგრამ მთავარი მაინც მომავალი თაობების აღზრდის სამსახურში ღირსეულად დგომა და მნიშვნელოვანი კვლევების წარმოება იყო, რომლებმაც კუთვნილი ადგილი დაიჭირეს ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკუთარი მისიითა და ფუნქციით გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელიც ჩართულია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში, მონაწილეობს ბოლონიის პროცესში და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტების დიდი ქარტიის პრინციპით. მან განაგრძო საუკუნეებით მოტანილი ღირსეული გზა ქართველი ერის კულტურულ-ინტელექტუალური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

ვულოცავთ 25 წლის იუბილეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და საიუბილეო დღეებში გვინდა ვუსურვოთ, რომ კიდევ მრავალი წელი ეღვაწოს რეგიონისა და ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო პოტენციალის გაზრდისა და საზოგადოებაში ჰუმანიზმის, დემოკრატიისა და კულტურული ღირებულებების დამკვიდრებისათვის.

მერაბ ხალვაში,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს

მინდა მოგილოცოთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 25 წლის იუბილე.

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობას უდიდეს მნიშნელობას ანიჭებს. უნივერსიტეტის დაარსებიდან ცოტა დროა გასული, თუმცა მისი როლი, როგორც საგანმანათლებლო და კვლევის კუთხით, ასევე კულტურის მხრივ, დიდია თქვენს რეგიონსა და მთელს ქვეყანაში. თქვენი სტუდენტობა და აკადემიური პერსონალი მიჰყვება უმაღლესი სტანდარტის ტრადიციას. უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი ქმნის მეცნიერების სხვადასხვა დარგში ინტერდისციპლინარული კვლევისა და ინოვაციური შრომების უნიკალურ შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ წარმომავლობაზე დაყრდნობით, ასევე კვლევებისა და სწავლების პროფილის მიხედვით, შესაძლებელი ხდება აღვნიშნოთ საქართველოში თქვენი უნივერისიტეტის პრესტიჟის ზრდა. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ფართომასშტაბიანი კვლევითი აქტივობები, განვითარება და ინოვაციები, საუკეთესოდ ერწყმის საქართველოს სამეცნიერო სივრცეს.

გვინდა თქვენს სტუდენტებს, მომუშავე პერსონალს და მთლიანად უნივერსიტეტს მივულოცოთ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი – 25 წლის იუბილე. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ უნივერსიტეტი კიდევ უფრო განვითარდება, მისი დევიზი კვლავ დარჩება სწავლის უმაღლესი ხარისხი, დისციპლინა და ცოდნა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ აკადემიური თანამშრომლობა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტებს შორის არსებობს, გაგრძელდება და კიდევ უფრო განვითარდება ჩვენი უნივერსიტეტებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი არამ სიმონიანი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს, ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს!

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გილოცავთ საიუბილეო თარიღს. უკვე 25 წელია, რაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ რეგიონის უმნიშვნელოვანესი სასწავლო-სამეცნიერო კერაა, რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო ატმოსფეროს ცვლის და ავითარებს, რაც განსაკუთრებით ღირებულია მხარისათვის და ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას უწყობს ხელს.

თქვენს თავდადებულ საქმიანობას უდავოდ გამსჭვალავს ის ფაქტი, რომ საქართველოს ამ უძველეს კუთხეში მოღვაწე დიდი მამულიშვილების სულიერი მემკიდრეებად ითვლებით. ეს ყოველივე დიდ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ და გასაკვირი არაა, რომ ასეთი რუდუნებით ემსახურებით ახალგაზრდებს კარიერული წინსვლისა და პროფესიული სრულყოფისათვის მყარი საფუძვლის ჩაყრას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ. წარმატებას, გაძლიერებასა და წინსვლას გისურვებთ, დიდხანს ყოფილიყავით ჩვენი სამშობლოს სამსახურში.

უნივერსიტეტის სახელით,
რექტორი, პროფ. გიორგი ღავთაძე

გვჯერა თქვენი მომავალი წარმატებების!

ვუერთდები საქართველოს ულამაზესი ისტორიული კუთხის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებულ მილოცვებს. უნივერსიტეტის, როგორც რეგიონული სამეცნიერო ცენტრის, მისია დიდია და მნიშვნელოვანი რეგიონის განვითარებისთვის. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მხარის სოციალ-პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების გარანტი. 25 წლის მანძილზე უნივერსიტეტი ღირსეულად ასრულებდა ამ მისიას და სახელოვნად დაიმკვიდრა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ულოცავს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს, ადმინისტრაციას, პროფესორებს, განსაკუთრებით სტუდენტებს და რეგიონის მოსახლეობას ღირსშესანიშნავ თარიღს, დაარსებიდან 25 წლის იუბილეს.

გვჯერა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის შემდგომი წარმატებების.

საუკეთესო სურვილებით,

თეონა ხუფენია,
შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

მესხეთის უნივერსიტეტი 25 წლისაა!

25 წლის წინ მერაბ ბერიძისა და მისი რამდენიმე თანამოაზრის ძალისხმევით ახალციხეში საფუძველი ჩაეყარა უმაღლესი განათლების კერას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილებით (№272) დღეს ეს უმაღლესი სკოლა იწოდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად. არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის, ან, თუნდაც, საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიისათვის დიდი დატვირთვის მქონეა ახალციხეში წარმატებით არსებული უნივერსიტეტი, რამდენადაც, აქ, ქართველების გარდა, მეზობელი ქვეყნების – თურქეთისა და სომხეთის – წარმომადგენლებიც სწავლობენ და უმაღლეს განათლებასთან ერთად, მშვიდობიანი თანაცხოვრების გაკვეთილებსაც იღებენ.

ჩემთვის მშობლიურია ახალციხის უნივერსიტეტი: მე ამ უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის პირველი გამგე ვიყავი; როგორც საკუთარი შვილის ავსა და კარგს განიცდის ადამიანი, ისე განვიცდიდი მე მესხეთის უნივერსიტეტის წინსვლასა თუ მარცხს, ამ უნივერისტეტის ამგდარი პიროვნებების ღირსეულად დაფასებას თუ მათ რეპრესიებს, რაც მთავარია, სტუდენტების კრიტიკულ დამოკიდებულებასა თუ სიყვარულს. უნივერსიტეტისათვის 25 წლის ისტორია დამკვიდრების პერიოდია. ახლა ახალი ეტაპი იწყება: დარწმუნებული ვარ, უკვე გამოწრთობილი პროფესორ-მასწავლებლების ღვაწლით მომავალში კიდევ უფრო წარმატებული ნაბიჯები გადაიდგმება, ნაბიჯები, რომლებიც დიდ საერთაშორისო აღიარებას მოუტანს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

სწორედ საერთაშორისო აღიარებაა ახლა აუცილებელი, რომ ახალციხეში დაფუძნებულმა უნივერსიტეტმა წონიანი სიტყვა თქვას თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე საინფორმაციო ომების პროცესში; სამწუხაროდ, ამჟამად საქართველო აგებს საინფორმაციო ომს, რამდენადაც, საბჭოთა პერიოდში და უფრო ადრეც, რუსეთის იმპერიის პერიოდში სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ცენტრებში მეცნიერებისა და განათლების დაგეგმვა არ ხდებოდა საქართველოს ინტერესების შესაბამისად; დღეს უკვე შექმნილია საამისო პირობები, მაგრამ აქ ნათქვამ სიტყვას ნაკლებად შეუძლია დააბალანსოს საუკუნის მანძილზე შექმნილი ანტიქართული იდეოლოგემები. აუცილებელია ჩვენმა პროფესურამ მეცნიერული სიღრმითა და კვლევების ინტერნაციონალიზაციით (ქართველებს ობიექტურობა არ გვაკლია!) აქტიურად შეუწყოს ხელი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისი გამორჩეული კულტურის განვითარებისათვის.

მომავალ მსოფლიოში უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება საინფორმაციო თავდაცვის ორგანიზებას. საინფორმაციო თავდაცვის ორგანიზებაში კი არსებითია ისეთი აკადემიური მიდგომები, რომელიც ობიექტურად წარმოაჩენს ჩვენი ერის, ჩვენი დედაენის, ჩვენი სახელმწიფოსა და აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ისტორიას, ასევე, შექმნის საფუძვლებს, აღდგეს საქართველოს ტერიტირული მთლიანობა და დაცული იქნეს ყველა მოქალაქის უფლებები და ინტერესები.

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო საქართველოს ეს უძველესი კუთხე – სამცხე-ჯავახეთი – დღესაც ძალიან პრობლემური მხარეა; შესაბამისად, საინფორმაციო თავდაცვის ორგანიზების კუთხით პერსპექტივაში ტოლს ვერავინ დაუდებს ახალციხის უნივერსიტეტის კადრებს: პროფესორ-მასწავლებლებსა თუ სტუდენტებს. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ამიერიდან ახალციხელები და ახალქალაქელები უფრო მეტს გააკეთებენ მეცნიერებისა და განათლებისათვის, ზოგადად, ისეთი აკადემიური ბაზის მომზადებისათვის, რომელიც წყაროს წყალივით ესაჭიროება საქართველოს.

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნებს შორის ურთიერთობები ბევრად უკეთ დალაგდება, თუკი ფართო საზოგადოებებს მეტი ინფორმაცია ექნებათ ერთმანეთის შესახებ. სწორედ ამას ხელი უნდა შეუწყოს უნივერსიტეტებმა; სამწუხაროდ, არაიშვიათად, საარჩევნო ბატალიების გამო, პოლიტიკოსები აგრესიულ იმპულსებს ავითარებენ თავიანთ ქვეყნებში; მეცნიერებს შორის გაცილებით მეტი კომუნიკაცია და ურთიერთგაგებაა; შესაბამისად, საზღვრისპირა მხარეში არსებულ უნივერსიტეტს გაცილებით დიდი ფუნქცია აქვს, ვიდრე ცენტრალურ მხარეებში არსებულს. აქვე აღვნიშნავ, რომ მე უფრო მომწონს სახელი: მესხეთის უნივერსიტეტი. მესხეთის უნივერსიტეტი ჩემთვის ტევადი ცნებაა იმიტომაც, რომ ისტორიული მესხეთი მოიცავს: აჭარასაც, ტაოსაც, მაჭახელსაც, შავშეთიმერხევსაც, ლივანასაც, ლაზეთის ნაწილსაც; შესაბამისად, მესხეთში არსებულ უნივერსიტეტს შეუძლია, შექმნას შთამბეჭდავი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ზიარჭურჭელი, რომელიც ქართული ალალი სტუმარ-მასპინძლობისა და სიყვარულის ველში მეგრობრულ ველს შექმნის გარეშე ძალების მიერ დაგეგმილი კონფლიქტების საკომპენსაციოდ.

დასასრულს, აღვნიშნავ:

კარგად ვიცნობ მერაბ ბერიძის ბუნებას; სიყვარულზე ორიენტირებული მისი ფსიქოლოგია, მიმტევებლური ხასიათი და შესაბამისი განათლება დიდ შესაძლებლობას იძლევა, რომ მესხეთის უნივერსიტეტში შეიქმნას ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-ევროპული... კველევებისა თუ ურთიერთობების მუდმივმოქმედი ინსტიტუტები. მეცნიერებაში თანხმობა არის დიდებული საფუძველი ხალხების კეთილმეზობლობისა. შეიძლება რაღაცაში ვერ დაეთანხმო კოლეგას, მაგრამ, ზოგადად, ძირითად წახნაგებში ერთიანობა უთუოდ არის აუცილებელი. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ, ჩვენ უახლოეს მომავალში უნდა შევძლოთ, აკადემიური კვლევებით დავაბალანსოთ ფართოდ გავრცელებული ურაპატრიოტული ე.წ. „სამეცნიერო“ პროდუქცია, რომელიც ყველა მხარის გაღიზიანებას იწვევს. აკადემიური აზრის ფორმირებისთვის აუცილებელია ნეიტრალური, გონივრული და, ამასთან, ინტელექტუალური გარემო, სადაც მოხდება სხვადასხვა აზრის შეთანასწორება და ურთიერგამდიდრება; სწორედ ამგვარ ცენტრად მეგულება მე სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი.

მესხეთში უნივერსიტეტის 25 წლის იუბილეს კიდევ ერთხელ ვულოცავ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ვულოცავ მთელ საქართველოსა და ცივილიზებულ კაცობრიობას! ვულოცავ საკუთარ თავსაც: მე ორმაგად ბედნიერი ვარ, რამდენადაც დამოუკიდებლობისკენ მსწრაფავი საქართველოსთვის ურთულეს პერიოდში, უმძიმესი ისტორიის მქონე საქართველოს ამ მხარეში – სამხრეთ საქართველოს ცენტრში – 25 წლის წინ ჩემი მონაწილეობითაც დაფუძნდა დღეს უკვე მაღალი რანგის, სამსაფეხურიანი უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი, რომელსაც დიდი მომავალი აქვს.

პროფესორი **ᲗᲐᲠᲘᲔᲚ ᲤᲣᲗᲙᲐᲠᲐᲫᲔ,**
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს

1990 წელს დაარსებული უდიდესი საგანმანათლებლო ცენტრი მესხეთ-ჯავახეთში, საქართველოს ამ ისტორიულ უძველეს მხარეში, დიდი მამულიშვილური საქმიანობის განმხორციელებელი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, იუბილარია – 25 წლისაა.

25 წელი დაუღალავი შრომა, ბევრი ქარტეხილი, ქვეყანაში სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა, რეჟიმის ცვლა და სწორედ ამ ისტორიულ რეალობაში მოგიწიათ უნივერსიტეტის დაარსება, განვითარება, ჩამოყალიბება და, ის, რაც დღეს გვაქვს, იქცა მესხეთ-ჯავახეთის ცოდნისა და განათლების კერად!

მინდა გისურვოთ მსოფლიო საგანმანათლებლო კერად გადაქცევა – ვიცი რა თქვენი უნივერსიტეტის დიდი პოტენციალი.

გწყალობდეთ ღმერთი, გაგეზარდოთ მრავალი წარმატებული სპეციალისტი და სახელმწიფო მოღვაწე.

პატივისცემით,

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ,
პარლამენტარი

განათლების ზეიმი

საყოველთაოდ ცნობილია, რუსთაველის მიწაზე ოდითგან კულტურულ-საგანმანათლებლო კერების არც თუ მცირე რაოდენობა იყო. აქ არსებულ მონასტრებში ბერ-მონაზვნები ეწეოდნენ თავდადებულ ლიტერატურულ და თარგმნით საქმიანობას. თარგმნიდნენ ბერძნულიდან, სირიულიდან, არაბულიდან და სხვა ენებიდან. ამ მხრივ გამოირჩეოდა კუმურდოს სამონასტრო კომპლექსი, სადაც მოღვაწეობდნენ ამ ტაძრის აგების ინიციატორი იოანე ეპისკოპოსი-კუმურდოელი. მან შექმნა სვიმეონ სალოსის ცხოვრების ნ უსხა, რომელიც ამჟამად გრაცში ინახება. მას შეუდგენია „იადგარნი გამოკრებილნი“; მე-16 საუკუნეში აქ მოღვაწეობდა ზოსიმე კუმურდოელი და სხვ.

ვარძიაში ყოფილა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც შემოსევების შედეგად განადგურებულა! ცნობილია აგრეთვე ვარძიის ოთხთავი. ვარძიას უკავშირდება იოანე შავთელის: გალობანი ვარძიისა ღვთისშობლისა“, სარგის თმოგველის „დილარგეთიანი“ და მესხი შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული აზროვნების უმაღლესი გვირგვინი. ეს ხელიხელ საგოგმანებელი პოემა ქართველთა ბიბლიაა. ასეთი ენციკლოპედიური მხატვრული ქმნილება და ამ მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ტრადიციების ლოგიკური შედეგია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და დაარსების ჯერ კიდევ 25 წლის წინ და აი, ახლა მთელი საქართველო აღნიშნავს ამ უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს. მას დარსების პირველი დღიდან უნარიანად ხელმძღვანელობს ამ მხარის მკვიდრი, პროფ. მერაბ ბერიძე, რომელსაც მაღალ დონეზე აქვს დაყენებული უნივერსიტეტის როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მუშაობა.

ვულოცავ სამცხე-ჯავახეთოს სახელმწიფო უნივერსიტეტის-რექტორს ბატონ მერაბ ბერიძესა და პროფესორ-მასწავლებლებს ამ სახელოვან იუბილეს და ვუსურვებ კვლავაც ასეთივე შემართებით და ნაყოფიერად გაეგრძელებინოთ ხელმძღვანელობა.

თქვენი პატივისმცემელი,

ᲞᲠᲝᲤ, ᲑᲝᲜᲓᲝ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ

გულით გილოცავთ

მინდა სულითა და გულით მივულოცო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსების 25 წლისთავი. ვფიქრობ, რომ უნივესიტეტი დიდ ეროვნულ და სასიკეთო საქმეს აკეთებს ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. გულწრფელად ვულოცავ უნივერსიტეტელებს, მთელ მესხეთს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და მეც განსაკუთრებით მეამაყება, რომ ჩემი წინაპრების ქალაქში ასეთი ღირსეული საგანმანათლებლო კერაა.

ᲕᲐᲟᲐ ᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ახალციხის საპატიო მოქალაქე

გილოცავთ!

სამცხე-ჯავახეთი ქართული სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი ციტადელია, როგორც რუსთაველის ადგილის დედა და გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო არეალი. წინასწარმეტყველის ჭვრეტით, გრიგოლ ხანძთელმა იგრძნო, რომ სწორედ ამ მხრიდან, საქართველოს სამხრეთის კარიბჭიდან, უნდა დაწყებულიყო ქართული გონისა და ზეიმის ამაღლება. აქედან გამომდინარე, განუზომლად დიდი მნიშვნელობისაა დღეს, რომ ისტორიულად უდიდესი კულტურის მხარეში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოქმედებს. ის ჯერ ახალგაზრდაა, მეოთხედი საუკუნის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მხარის სულიერი და ინტელექტუალური ზრდის საქმეში უაღრესად დიდი წვლილი უდევს.

მჯერა, საქმისადმი თქვენი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და პროფესიონალიზმი მომავალში ახალი წარმატებების საწინდარი გახდება.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲚᲘ,
სრულიად საქართველოს
რუსთაველის საზოგადოების
პრეზიდენტი

„ჭკვიანი კაცის მოფიქრებული იყო“

მთელი სულითა და გულით მივესალმები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 25-ე წლისთავს და დარწმუნებული ვარ, რომ იგი ასევე სახელოვნად გააგრძელებს თავისი ისტორიული მოვალეობის შესრულებას შემდგომ წლებშიც.

უკვდავი დათა თუთაშხიასი არ იყოს, მართლაც ჭკვიანი კაცის მოფიქრებული იყო მისი გახსნა თავის დროზე და ეს ყველაფერი ნათლად გამოჩნდა ბოლო ხანებში. ბევრ ღონისძიებაში მიმიღია მონაწილეობა ამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად, გულითადი მასპინძლობაც გაგვიწევია ერთმანეთისთვის, თბილისშიც და სამცხე-ჯავახეთშიც და, იმედია, ეს ახლო ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება ახლა, როცა ახალციხე უკვე იქცა ნამდვილ საუნივერსიტეტო ქალაქად.

თქვენი მეგობარი,

ᲞᲠᲝᲤ. ᲒᲝᲒᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი

ვულოცავ!

მესხეთის ყველაზე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, დაარსების 25 წლისთავს ვულოცავ. ჩვენი კუთხის თითოეული ადამიანისთვის ეს თარიღი მეტად მნიშვნელოვანი და სასიხარულოა. მეოთხედი საუკუნეა გასული მას შემდეგ, რაც სახელმწიფო აზროვნების მქონე ჯგუფმა, ახალციხეში უნივერსიტეტის დაარსების პასუხისმგებლობა იკისრა.

ძნელია პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა, სასწავლო და სააღმზრდელო პრაქტიკის შექმნა, თუმცა ბევრი დაბრკოლებისა და პრობლემების მიუხედავად, საქმის სიყვარულით გულანთებული ადამიანებისთვის, ხელი არ შეშლიათ წარმატებულ უნივერსიტეტად ჩამოეყალიბებინათ მესხეთის უნივერსიტეტი.

სასიხარულოა, რომ უნივერსიტეტს ისევ ბატონი მერაბ ბერიძე უძღვება და უმნიშვნელოვანეს წარმატებებსაც აღწევენ.

მე ამ უნივერსიტეტში არ მისწავლია, მაგრამ მასთან მშობლიური სიყვარულის განცდა მაკავშირებს.

ვოლოცავ უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს ახალ-ახალ წარმატებებს მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის საშვილიშვილო საქმეში.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ,
ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელი

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნივერსიტეტი

1990 წლიდან უნივერსიტეტმა არაერთი თაობა გაზარდა და ბევრი სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწე შემატა ქვეყანას. ყოველთვის, ყველა თაობისთვის, საამაყო იყო სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტობა, მის კედლებში ცოდნის მიღება. მეამაყება, რომ მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ... სტუდენტობა – ეს მართლაც გამორჩეული პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში... მინდა იმ სტუდენტებს, რომლებიც ამ უნივერსიტეტის კედლებში აგრძელებენ სწავლის მდიდარ ტრადიციებს, ვუსურვო წინსვლა და წარმატებები. აქვე არ შემიძია არ აღვნიშნო ის, რომ უნივერსიტეტი არაა მხოლოდ ის ადგილი, სადაც იძენ ცოდნას, ესაა ადგილი, სადაც ადამიანი იზრდება სულიერად, ზნეობრივად, ეს არის ერთგვარი ხიდი, რომელიც გაკავშირებს დანარჩენ სამყაროსთან, გასწავლის, თუ როგორ გადალახო სიძნელეები, იბრძოლო სიმართლისთვის და გახდე შენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტის არსებობა ჩვენს რეგიონში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებულია პროფესორ მერაბ ბერიძის ღვაწლი უნივერსიტეტის ისტორიაში. ბატონ მერაბს უდიდესი დამსახურება აქვს ერისა და ქვეყნის წინაშე, მან ფასდაუდებელი შრომა გასწია და მჯერა, რომ მომავალი თაობა მას ჯეროვნად დააფასებს. ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის აკადემიურ ჯგუფს, რომლებმაც ტიტანური შრომა ჩადეს უნივერსიტეტის განვითარებაში. ვულოცავ ყველას და, განსაკუთრებით, ყველა უნივერსიტეტელს, უნივერსიტეტის 25 წლის იუბილეს და ვუსურვებ წარმატებებს.

ღრმად მჯერა, რომ უნივერსიტეტის არსებობა ჩვენს რეგიონში დიდ როლს ითამაშებს რეგიონის განვითარებისაათვის.

ზაქარია ენდელაძე,
ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ჩვენი საამაყო უნივერსიტეტი

მინდა განსაკუთრებული ემოციებით მივულოცო სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს 25 წლის იუბილე. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, უნივერსიტეტი მუდამ ასე ამაყად იდგეს ახალციხესა და ახალქალაქში და მისი კურსდამთავრებულებით დღე-მუდამ ამაყობდეს.

მე, პირადად, როგორც ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ამჟამად ენათმეცნიერების დოქტორანტი და, ამავე დროს, უნივერსიტეტის თანამშრომელი, 2002 წლიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მოვყვები უნივერსიტეტის მიერ გავლილ გზას, რომელიც, მინდა გითხრათ, არ ყოფილა ადვილად სავალი, მითუმეტეს, თუ ამ გზას, ახალქალაქის გადმოსახედიდან შევხედავთ. ვისაც კი III კორპუსთან შეხება ჰქონია, დამეთანხმება, რომ ადვილი ნამდვილად არ ყოფილა, თუნდაც, ამდენი კილომეტრების გავლა (ახალციხე-ახალქალაქი) და, შემდეგ, ლექციების ჩატარება, მაგრამ, იმაშიც დამეთანხმებიან, რომ ისინი გაასმაგებული დადებითი ენერგიით ბრუნდებოდნენ სახლში ჯავახეთის მიწა-წყლიდან. ამ ძალისხმევას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და სწორედ ამის დამსახურებაა, რომ დღეს ჯავახეთში უნივერსიტეტი ღირსეულად აგრძელებს მუშაობას. ღვთის წყალობით, ყველა დაბრკოლება გადალახა უნივერსიტეტმა და მისმა თითოეულმა თანამშრომელმა, ბატონ მერაბ ბერიძის თაოსნობით.

ვიმედოვნებ, კიდევ მრავალ იუბილეს იზეიმებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი სასახელო სტუდენტებითურთ და იგი ყოველთვის საამაყო საგანმანათლებლო, სამეცნიერო კერად დარჩება ჩვენი რეგიონისთვის.

ჟანა ხაჩატურიანი

ენისა და ერის ებგური

ერთი მესხური ანდაზა გვასწავლის: ,,ჯიდურს დაუკვირდი, ფარჩა ისე იყიდეო; დედას დაუკვირდი, შვილი ისე ითხოვეო“!

დიდებული ნათქვამია!

დიახაც გვწამს, ამ დარიგებისამებრ მოვიქცეთ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსი რომ გაიგო, უნდა დაუკვირდე მის მშობელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მაშინ ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება.

დიახ, მესხეთის მიწაზე არსებული ეს მოწინავე სასწავლებელი დედასასწავლებლის წარჩინებული შვილია, პირმშოა. შემთხვევითი როდია, რომ აქ მოღვაწე სწავლულთა უმეტესობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტშია გამოზრდილ-გამოწრთობილი და წარმატებით აგრძელებს სახელოვანი მშობლის გზას. ამ გზაზე მას ია-ვარდი ყოველთვის არ დაჰფენია, ოღონდ იავარდულ შედეგს ყოველთვის იმკიდა.

ყოველმა გონიერმა მამულიშვილმა იცის და, თუ არ იცის, სისხლითა გრძნობს:

მესხური უნივერსიტეტი დღეს იმავე მნიშვნელობისაა, რა მნიშვნელობაც თავის დროზე (მეოცე საუკუნის დამდეგს) თბილისის უნივერსიტეტსა ჰქონდა. თუ დედაუნივერსიტეტი საერთო ქართული ფუნქციების მქონე იყო, ისეა დღეს მესხური უნივერსიტეტი, რომელიც ზედაპირულ თვალს ოდენ მესხური შეიძლება მოეჩვენოს, ოღონდ ღრმად მხედველი გონება უკეთ სწვდება სინამდვილეს – იგი საერთო ქართული და ქართველური ფუნქციებით არის დაყანთრული და ჩვენი ენისა და ერის დაუძინარი ებგურია.

მურმან თავდიშვილი,
პროფესორი

სახელმწიფოებრივი აზროვნებით დაბადებული ცოდნის კერა

თითქოს ახლახან იყო, რომ საქართველოს მოეფინა სასიხარულო ამბავი – მესხეთ-ჯავახეთში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, არადა, მას მერე მეოთხედი საუკუნე გასულა. ეს დრო კი საკმაოა იმისათვის, რომ გამოვიტანოთ დასკვნა – იყო თუ არა სასწრაფო და აუცილებელი მაშინ საქართველოში ახალი უნივერსიტეტის გახსნა, როცა ჯერაც არ გაეხილა თვალი ახლადდაბადებულ დამოუკიდებელ საქართველოს?

დიახ, სწორი იყო, რადგან სახელმწიფოებრიობა აღდგენილ საქართველოს თავისი მომავალის შენება განათლებასა და კულტურაზე დაყრდნობით უნდა დაეწყო. ახალციხის უნივერსიტეტიც სწორედ ეროვნულ ტალღაზე, სახელმწიფოებრივი აზროვნებით დაბადებული ცოდნის კერაა.

რა კარგია, რომ მის კედლებში, მშობლიურ გარემოსგან მოუწყვეტლად, იღებენ განათლებას ავთანდილები და ტარიელები, თინათინები და ნესტან-დარეჯანები, შერმადინები, ფატმანები... სრულიად რუსთველის შთამომავლები, ამ მხარის შვილები.

უნივერსიტეტი საქართველოს რომელ მხარეს არ სჭირდება, მაგრამ ქვეყნის იმ განაპირა მხარეს, სადაც ავის მოსურნემ შეიძლება ადვილად მოითბოს ხელი, მისი არსებობა, მართლაც რომ, ჰაერივით საჭიროა.

რაოდენ სასიხარულოა, რომ მოლოდინმაც გაამართლა და, ახალციხის უნივერსიტეტის სახით, დღეს ქვეყანაში კიდევ ერთი დიდი საგანმანათლებლო კერა არსებობს.

ნომადი ბართაია,
პროფესორი

გილოცავთ საიუბილეო თარიღს!

მეტად სასიამოვნო და სასიხარულო ცნობა მოვისმინე, ჩვენი მხარის საამაყო და ხელიხელსაგოგმანო სიბრძნის ტაძარს – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს 25 წელი შეუსრულდა.]

დიდი ბედნიერებაა ამ უმაღლესი დონის სასწავლო ცენტრის სამცხე-ჯავახეთის მხარეში არსებობა. განვლილი წლების მანძილზე უნივერსიტეტმა მრავალი პრობლემა დაძლია და მყარად დადგა სხვა ცნობილ სასწავლო დაწესებულებების გვერდით, რაშიც უდავოდ დიდია უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლების წვლილი და, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის რექტორის, სამცხე-ჯავახეთის მხარის ერთგული მამულიშვილის, ბატონ მერაბ ბერიძის წვლილი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობენ რეგიონის სასწავლო და საჯარო სამსახურებში, თავიანთი წვლილი შეაქვთ თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

გულწრფელად ვულოცავთ სამცხე-ჯავახეთის მხარის ცოდნის ტაძარს საიუბილეო თარიღს და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ სამომავლო საქმიანობაში. მწამს, ისტორიული მესხეთის სახელოვანი სასწავლო ცენტრების – ვარძიის, საფარის, ზარზმის, კუმურდოს და სხვათა გვერდით ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს იუბილარი უნივერსიტეტი და ახალი წარმატებებით გაახარებს დედა საქართველოს.

პატივისცემით და დიდი სიყვარულით,

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი,
ბორჯომის საპატიო მოქალაქე

სოსო გიქოშვილი



აკაკი წერეთლის სახელი ქართველი ხალხის ცნობიერებაში დიდი სიყვარულითაა გარემოცული. ამ სიყვარულს „გამზრდელის“ ავტორი თანმიმდევრულად ამკვიდრებდა თავისი შემოქმედებითი თუ მიწიერი ცხოვრებით, როგორც ერის გულისნადების გამომხატველი ხელოვანი. ჩვენი აზრით, სწორედ ამის შედეგია ის განსაკუთრებული პოპულარობა, რამაც მწერლის სახელი სიცოცხლეშივე უკვდავყო. აკაკი წერეთელმა თანამოკალმეთაგან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა შთამბეჭდავი სახე მონობაში მყოფი ერის განმათავისუფლებელი გმირისა, რომელმაც სულიერად დაკნინებულ ქართველობას ეროვნული მეობის მინავლული გრძნობა განუახლა და დაუბრუნა ოპტიმიზმის ნათელი განცდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზნეობრივი გმირის გვერდით აკაკიმ არანაკლები ძალსხმევით შექმნა ანტიგმირის მხატვრული სახეც, რომელიც აღიზარდა მონურად მორჩილებაში მყოფ საზოგადოებაში და, რომელიც, სრულიად უსაფუძვლოდ, აღაზევა ახალმა ვითარებამ. ეს არის ზნეობრივად გადაგვარებული გმირი, რომელმაც პირად მოვალეობად საკუთარი ინტერესებისკენ სწრაფვა მიიჩნია, ხოლო მაღალმოძალადეობრივ პათოსს ზურგი აქცია. აკაკი წერეთელი გამუდმებით ეძებდა გამოსავალს, თუ როგორ შეიძლებოდა აღედგინა ერის ზნეობრივი სიწმინდე, შელახული ეროვნული თავმოყვარეობა, რათა სიბნელესა და უმეცრებისკენ მიდრეკილი ქვეყანა გადაერჩინა. ასეთი გზის ძიებამ დიდი მგოსანი მიიყვანა პირდაპირ მხილებამდე, ამიტომ თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებების გასაჯაროებას.

აღნიშნულის თაობაზე **აკაკი ბაქრაძე** მართებულად შენიშნავდა, რომ პოეტმა **„ღრმად ჩაიხედა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ყველაფერი შეისწავლა, გააანალიზა და აწონ-დაწონა, მან ცხადლივ დაინახა სნეული საქართველო და შექმნა კიდეც მისი მხატვრული სახე“,** აკაკის თანამედროვე ქართველთათვის უცხო როდი იყო მშობლიური ენის უარყოფა, ეროვნული ინტერესების იგნოლირება, საკუთარის გმობა და უცხოურის განდიდება, მოყვასის ღალატი და მტრის ერთგულება. მავნე, მომაკვდინებელი თვისებები არც ადრეულ საუკუნეებში მოჰკლებია ჩვენს ერს, მაგრამ ისინი განსაკუთრებულად მომრავლებულია თავისუფლებადაკარგულ ქვეყანაში, იქ, სადაც ხალხის მომავალზე ზრუნვა პიროვნული კეთილდღეობისკენ ლტოლვამ შეცვალა, სადაც არარაობად იქცა ეროვნული თვითშეგნება. როგორც ჩანს, ქართველ საზოგადოებაში ხელახლა ვრცელდებოდა არსებულ მძიმე ვითარებასთან შეგუების მავნე ტრადიცია. უფრო მეტად მომრავ ღდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დაკარგული ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენის ნაცვლად ამჯობინებდნენ ეზრუნათ ვიწყო პიროვნული ინტერესებისთვის. სწორედ მონური ერთგულების იდეებით განმსჭვალული ქართველები ჰყავდა პოეტს მხედველობაში, როცა წერდა:

„ვინც რომ გუშინ ქვეყნის მტერსა,
გამბედავად შეუძახა,
დღეს ულოკავს ფერხთა მტვერსა
და შესცინის: ხა, ხა, ხა, ხა„!..

ასეთი მძიმე ყოფა დაუხვდა სამშობლოში პეტერბურგიდან დაბრუნებულ აკაკის, რომელმაც ნათლად დაინახა უფსკრულისკენ დაქანებული ერი. ისინი, ვინც ხალხის იდეური წინამძღოლნი უნდა ყოფილიყვნენ, საკუთარი სურვილით თმობდნენ ყველაფერს, მონური ერთგულებით ფეხქვეშ ეგებოდნენ ხილულ მტერს. ახალგაზრდა პოეტი შეუნიღბავად ხატავდა ზოგჯერ ალეგორიული ფორმებით, ზოგჯერ მკვეთრი სატირული ფერებით, ოღონდ იმ იმედით, რომ საზოგადოება გამოფხიზლდებოდა და დაფიქრდებოდა. ჩვენი აზრით, ამით იყო განპირობებული კაცისა და ძაღლის დაპირისპირება ლექსში „ნადირობა“. პოეტის აზრით, ძაღლი უფრო საიმედო ერთგული მეგობარია, ვიდრე ზოგიერთი ადამიანი:

„რადგან კაცში მეგობარი
უსასყიდლოდ არსად არი,
სულ ძებნით რომ გადვიაროთ
ოცდაათი მთა და ბარი“.

ასეთმა განმარტებამ სერიოზული აღშფოთება გამოიწვია იმდროინდელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში და პოეტისთვის ლანძღვა არ დაუშურებიათ, თუმცა, მათგან, სხვაგვარი ქნედება წარმოუდგენელი იყო, ვინაიდან მათში ჩამკვდარიყო ეროვნული იდეალები და ადამიანური ზნეობანი. აკაკი წერეთელი მსგავს ქართველებს „კაცის ჩეროს“, ჭეშმარიტების მგმობელებს უწოდებდა და ქართველებად არ მოიხსენიებდა. ლექსში „ჩუ, ქართველს“ ვკითხულობთ:

„ეჰ, ქართველო, კაცის ჩერო,
ქართლი შენგან არას ელის,
და მაშ, როგორ დავიჯერო,
რომ შვილი ხარ შენ ქართველის“.

მძაფრმა მხილებამ პოეტი მთელი სიცოცხლის მანძილზე საბედისწერო გზით ატარა და ბევრი უსიამოვნება მოუტანა, თუმცა უკან დახევა არ უფიქრია, სწამდა, რომ პირადულზე ზრუნვა ერთობ დამთრგუნველი იყო ადამიანებისთვის. დიდ მგოსანს აღელვებდა ზოგიერთი ქართველის გულგრილი დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი, ვინც საკუთარი სურვილით უარყოფდა „დედაენას“ და სხვათა ენას აღმერთებდა, განსაკუთრებით – რუსულს. აკაკი წერდა:

„ბევრს ოჯახში შეხვდებით მისთანას, სადაც დედაც ქართველია და მამაც (ენის ცოდნით) და შვილებმა კი ერთი სიტყვაც აღარ იციან ქართული... ას ქალში ოცს ვერ ნახავთ, რომ ქართულის წაკითხვა შეეძლოს და რაც შეეხება წერას, უბრალოდ აზრის გამოთქმაც არ შეუძლიათ მოახერხონ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღარაა გასაკვირი, რომ აკაკი წერეთლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთ გამოკვეთილ მხატვრულ სახედ, ახალი გარემოების პირმშო, ეროვნებით ქართველი, რუსულად მოაზროვნე პიროვნება მივიჩნიოთ. სწორედ ასეთ ადამიანებზე შენიშნავდა „განთიადის“ ავტორი:

„ქართულზე რომ ხელს იღებენ,
ვეღარც რუსულს ახერხებენ...
ქართულ ენას არად ხდიან,
შვილებს რუსულადა ზრდიან,
ტრედიაკოვსკის აქებენ და
რუსთაველს კი დასცინიან“.

მსგავსი იდეური არსი მრავლად გვხვდება აკაკის პოეზიაში. იგი დაუნდობლად ამხელდა გადაგვარებულ ქართველებს, მშობლიური ენის, „დედაენის“ აბუჩად ამგდებთ. უარყოფდა და ხმამაღლა აცხადებდა: **„ვინც იაკობის გზას არ გაივლის, ის ქართველად არც იხსენებაო“.** აკაკის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა ის გარემოებაც, რომ ერის ინტელექტუალურმა ნაწილმა დათმო სამშობლოს ჭირისუფლება, ერთგული პატრონის მოვალეობა. საზოგადოების უმეტეს ნაწილში გაბატონებულმა მონურმა ფსიქოლოგიამ სერიოზულად შეარყია ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობანი, ძირფესვიანად შეცვალა ქართველთა ტრადიციული სიდარბაისლე, ცხოვრების წესი. აკაკის აზრით, ამ ყველაფერს ახალმა გარემოებამაც შეუწყო ხელი, ამიტომ დაუპირისპირა ძველი და ახალი დროება, უპირატესობა კი პირველ მათგანს მიანიჭა: **„სადღა არის ძველებური დარბაისლობა, ზრდილობა, რიგიანობა, ტკბილ-ქართულობა, ავ-კარგის გარჩევა და ადამიანობა? დღეს თავხედობა და კუდაბზიკობა კაცობის ნიშნად მიგვაჩნია, უზრდელობა – განათლებად“...** აკაკი წერეთელი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას და ეძებს მას, ვისაც ძალუძს დაინახოს ერი ამ საბედისწერო მდგომარეობიდან, თუმცა ასეთი გმირები არსად ჩანან. მის ტრაგიზმს ამძაფრებს იმის განცდაც, რომ სამშობლოს მხსნელი მამულიშვილები შეიძლება სამომავლოდაც ვერ გამოჩნდნენ. აქ თავისთავად გვახსენდება დიდი ილია, რომელიც გულისტკივილით შენიშნავდა:

„... მაგრამ, ქართველნო,
სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის
ვტირი“?

ან კიდევ:

„იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს,
ჩუმის ნატვრითა ქართველი“?...

უფრო მკვეთრად რომ გვაგრძნობინოს ქვეყანას თავსდატეხილი უბედურება, აკაკი წერეთელი ხშირად მიმართავს დაპირისპირების ხერხს, კერძოდ, ცალკერძ, ასახავს გარდასულ დროს, მეორე მხრივ, აღგვიწერს მონობით დათრგუნულ და დაბეჩავებულ ერს, რომლის ნაწილი გადაგვარებულია და მტრის სამსახურში ჩამდგარა. უფრო მეტიც, მწერალი სხვადასხვა მხატვრული საშუალებებით ცდილობს მხსნელის მისიით მოვლენილი ჩრდილოელი მეზობლის მხილებას, რომლის მიზანია ცრუ დაპირებებით ქართველთა გონების დაბრმავება:

„იქ, სადაც ძველად ქართველი
ქართველს,
ხელს მიაწვდენდა ძმურად,
საშველად,
დღეს იქ ქართველი ყელში
უჭერს ხელს,
თვით მოძმეს სულის ამოსახდელად“...

ვკითხულობთ, ლექსში „აღარ გვაქვს გრძნობა“ დაწერილია 1872 წელს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აკაკი ზოგჯერ ზედმეტ სიმკაცრესაც იჩენდა, მაგრამ ნათელია, რომ ამას განსაკუთრებული მიზანდასახულობით აკეთებდა: ერს დაანახა მონობის არსი, გამოფხიზლებულიყო და გადაგვარებისაგან ეხსნა საკუთარი თავი. მგოსანს შეგნებული აქვს, რომ ფესვგადგმული ბოროტების აღმოფხვრა უფრო რთულია, ვიდრე დასაწყისში მისი მოსპობა, ამიტომაც წერდა: **„როდესაც ეკალი ამოვა, მაშინ მისი მოსპობა უფრო ძნელია! უფრო ადვილი და უფრო გონიერია, როდესაც მთესველი გამოდის ეკლის სათესავად, ვეცადოთ ხელის შეშლას და ვიყვიროთ, რამდენადაც შევიძლოთ. ბევრი ვაი-ვაგლახი მოგველის ამ ყვირილისათვის, მაგრამ რა გაეწყობა, ქვეყანას ხომ მოუხდება ეს ყვირილი“?!** უკეთურების მთესველნი მრავლად იყვნენ თავისუფლებადაკარგულ ქვეყანაში, მრავლად იყვნენ ქართველნი, რომლებიც ანგარებით ზომავდნენ და აფასებდნენ ქვეყნის ბედს, მის მომავალს. აკაკი თავგამოდებით ებრძოდა ვაი-ქართველებს, რადგან ღვთაებრივი მისიით მოვლენილს სხვაგვარად არ შეეძლო მოქცეულიყო. მისი მახვილი კალამი იმათაც გადასწვდა, ვისაც მამულის სიყვარულის არაფერი გაეგებოდათ, ვისაც სამშობლოს ცნება ვერც კი გაეაზრებინათ. სწორედ ასეთები ცდილობდნენ სხვათა კუთვნილებად გამოეცხადებინათ ჩვენი წარსულის ფასდაუდებელი ღირებულებები, გაეყალბებინათ ქართველი კაცის ისტორიული სინამდვილე. ამას ემატება მოყვრულად მოსული მტრის ფაქტორიც, ვინაიდან იგი მხსნელად, თანამოაზრედ მიაჩნდათ. მტერი თავისი მიზნების განსახორციელებლად ყოველგვარ ხერხს მიმართავდა – ერის თვითშეგნებას აქვეითებდა, თიშავდა მის მთლიანობას, საზოგადოების ნაწილს თავისკენ იბირებდა. აკაკისთვის იმთავითვე ცხადი იყო ამ ჩანაფიქრის არსი, რომ ფარისევლური საქციელი ქვეყანას სრულად წაახდენდა, ამიტომ ხმამაღლა აცხადებდა:

„დამეხსენი, ჩრდილოელო,
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერო, მოუვლელო,
როგორ გინდა მომიარო?...
ვერ მომხიბლავ, ცრუ მოყვარევ,
ვერც ენით, ვერც თვალადობით,
შეგიპყრივარ, როგორც მთვარე,
გველეშაპსა ძალადობით„!...

მტრის მხილებისას აკაკი ცდილობდა ქართველთათვის აეხსნა, რომ მათი ხვედრი არ განსხვავდებოდა სხვა დაპყრობილი პატარა ერების ბედისაგან, რომ დამპყრობელს საერთო მიზანი ამოძრავებდა: სწრაფად დაემორჩილებინა და გადაეგვარებინა თითოეული მათგანი, აეცდინა ბუნებრივი განვითარების ისტორიულ გზას. აკაკი ძალზე დაუნდობელი იყო იმ ქართველთა მიმართ, ვინც ერთგულად ემსახურებოდა მტერს და არც ისაა შემთხვევითი, რომ აკაკის ისინი „ეროვნულ მტრებად“ ჰყავდა შერაცხული. ამგვარი ზნეობრივი ატროფირების მიზეზად მწერალი მიიჩნევდა ეროვნული თავისუფლების დაკარგვას და კატეგორიულად მოუწოდებდა ჭეშმარიტ ქართველობას **„საღმრთო მამულიშვილური მოვალეობის აღსრულებისკენ“**. აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნული იდეალების მხატვრულად წარმოჩენას, იმის გააზრებას, თუ ვინ უნდა იყოს თავად ქართველი ხალხის იდეალი, რომელზეც ბევრად იქნებოდა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. ამ შემთხვევაში პოეტი ისტორიულ წარსულსაც იხსენებს და თავის თანამედროვეობას უპირისპირებს, რომ დღევანდელი ქართველნი ისტორიული წარსულის ყველაზე ჭეშმარიტ და ეროვნულ-ზნეობრივ მაგალითებს აზიარებს. ისტორიული წარსულის გახსენებით აკაკი ცდილობდა შეეხსენებინა საზოგადოებისთვის, რომ სამაგალითო ეროვნული გმირები ბევრნი იყვნენ ჩვენში, რომ მათი შემართება ასულდგმულებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. მიუხედავად იმ სერიოზული წუხილისა, რომელიც პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გვხვდება, იგი არასდროს მისულა საბოლოო იმედგაცრუებამდე, პირიქით, ჩვენი აზრით, ეს იყო ოპტიმიზმის ნათელი რწმენით შთაგონებული წუხილი.

ᲠᲔᲖᲝ (ᲔᲛᲔᲚᲘᲐᲜᲔ) ᲐᲓᲐᲛᲘᲐ

წმიდანის უცხოელ სტუმრებთან შეხვედრა

(ნაწყვეტი რომანიდან „წმინდა ნინო“)

იმედი ნინო მოდიოდა და ფეხდაფეხ მიმნდობი უძველესი იბერია მოჰყვებოდა...

ამ დროს ცის კაბადონზე არნახული მკვეთრი ფერთა გადაადგილება შეინიშნებოდა, რითაც ქვეყანას ეუწყა, „ყოველთა მფარველი ანგელოზები უნდა გამოცხადდნენო“...

„გველთ მკრთალი გროვა, მზე და მთვარე, ცისფერ ფარდაგზე ერთად დაწოლილიყო. აფორიაქებული ვარსკვლავები გარს ეხვივნენ მარად მოფუსფუსე ჭიანჭველებივით. ნაცრისფერგადაკრული, ტანდაგრეხილი ბებერი ლეღვის ჩრდილში ყვითელ-მომწვანო ფერის ხვლიკები უდარდელად თვლემდნენ, მწვანე, წითელთვალება ვასაკას მკაფიო იდუმალი შეძახილი არღვევდა გარემოს მისტიკურ მყუდროებას. მუხის ფულუროში საოცრება ველური ტანჭრელი ფუტკარი დაოჯახებულიყო და გარემოს ყოველწუთიერი დასაქმების მაგალითს უჩვენებდა.

დრო მკაცრი გადიოდა... ირგვლივ მგალობელი ფრინველები დამატკბობელი ჰანგებით სალამურობდნენ. ერთ-ერთ ბორცვზე ზეცისკენ მზირალი ადამიანების დიდი ჯგუფი იდგა, მათ ირგვლივ გალაღებული ცხენები და ძაღლები წრიულად დარბოდნენ. ამ უცნაურ სეირს შორიდან მისჩერებოდა თვალებანთებული მგლების ხროვა...“

წმიდა ასულმა რომ იხილა და მოისმინა ყოველივე, გაეღიმა და თქვა: – ხილულ და უხილავ ქვეყანაზე როგორი მიწიერი საოცრებები და ზეციური მშვენიერებანი შექმნაო უფალმა. მერმე სიმშვიდემოგვრილმა წმიდანმა შინდისფერი მანდილი მოიხსნა, რომელზეც ჩალისფერი ჯვარი იყო გამოსახული და მზრუნველად გადააფარა მათ. უმალ წამებული იესო ქრისტეს სულის ანდამატური სურნელი მოედო გარემოს და ფერი იცვალა ცამ, მიწამ და გარემომ...

იესოს კვართის მცველი გაზაფხულის ყვავილებაფეთქებული ჯანსაღი მაყვლის ბუჩქივით მოდიოდა მშვიდად, იბერიის მთავარქალაქ მცხეთისკენ იესო ქრისტეს საოცრება კვართის მოსანახულებლად და თავდადებულ დარაჯად. წმინდანის უზარმაზარი ფუნქციის ეს მაცხოვრისეული მატერიალურ-იდეალური სიმბოლო რწმენის ერთადერთი ღერძთაგანი გახლდათ...

იგავ მიუწვდომელი ნინო მოდიოდა! არ ეშინოდა და არაფერი არ აბრკოლებდა... თექვსმეტი წლის უმანკო ქალწული ბიბლიურ-სახარებისეული ცოდნით და ღრმა რწმენით, წმიდანური უძლეველობით ცხადდებოდა; ღვთიური მთლიანობის და იესო ქრისტესეული სიყვარულის მადლს მოაბრძანებდა. მოციქულთსწორი შეუპოვრად ევლინებოდა და ელვასავით აპობდა წარმართულ ბნელ გარემოს, შეუპოვარი წმიდანი შემოიჭრა მძლავრსა და ბარბაროსულ სივრცეში, როგორც სანთლის შუქი ბნელითმოცულ მღვიმეში და იესო ქრისტეს ღვთისნიერი ენერგიის შუქით შემოსა დაუსაბამოდ, რითაც გამოჩნდა ბარელიეფები, გორელიეფები, ქანდაკებები, ბიუსტები, პორტრეტები და შორს მზირალი საკვირველი პროფილები ანგელოზების, წმიდანებისა, შიგადაშიგ მიწაზე შავი ლაქები შეინიშნებოდა უადგილო...

წმიდანი მეგობარ სომხებთანაც იესო ქრისტეს მოძღვრების სწავლა-ქადაგებას იბერიელების და კოლხების დარად ავრცელებდა და ყველგან მაცხოვრისეული სიკეთე – მადლი და სიყვარული იესო ქრისტესმიერი ღვთიური თვისებით მოეფინებოდა.

შორეული სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში ცნობილი სომეხი მოგზაური, ვაჭარი და სოვდაგარი კაიროს, კონსტანტინოპოლის, ტრაპიზუნტისა და ფაზის-არქეოპოლისის შემოვლით ქალაქ მცხეთას ეწვია. თანვე ახლდა რამდენიმე ცხენოსანი, მძიმედ შეიარაღებული დაცვა, შეგირდები და ტვირთმზიდავი ორი აქლემი. ასე რომ, შორეული ქვეყნებიდან მომავალი ქარავანი სერიოზულ ძალას და თავისებურ სრულყოფილ საერთაშორისო ფორმას წარმოადგენდა.

დიდი სოვდაგარი ძირითადად ბრილიანტებზე, ალმასებსა და ოქროზე ვაჭრობდა, ძვირფასი ტყავი და ქსოვილებიც შედიოდა მის საფონდო შემადგენლობაში. ზოგჯერ უნიკალურ ეგვიპტურ, ბერძნულ და რომაულ ხელოვნების ნიმუშებსაც გამოიყოლებდა ხოლმე, უფრო მეფეთათვის და დედოფალთათვის მისართმევად ან დიდებულებთან მორიგებაგარიგების მიზნით... ყოველივე დაახლოებით ამდაგვარი საქმიანობა გახლდათ, თუ ვინმეს ზოგადად მაინც გაეგო მასზე. დანარჩენი მოღვაწეობა სახელმწიფოებრივ მიწერ-მოწერებში და მეფეთა სიტყვიერ გარჩევა-შემოთვლებში თავსდებოდა. თითქმის ორი დღით წმიდა მირიან მეფესთან დანიშნულ დროს გამოცხადდებოდა. მათი საუბრები თუ უცხოური ნაწერების გარჩევა დახურულ საიდუმლოებაში რჩებოდა. აქვე მინდა გაუწყოთ, რომ სოვდაგარი სურენი მსოფლიოში წამყვან რამდენიმე ენას სრულყოფილად ფლობდა. იმდენად სერიოზული საქვეყნო და საერთაშორისო გავლენა ჰქონდა ამ პიროვნებას, რომ რომელიმე სახელმწიფოს ელჩის ფუნქციებსაც კი უტოლდებოდა.

მერმე, როცა მეფესთან მოითავა სახელმწიფოებრივი საქმეები, წმიდა ნინოს ეახლა თავის სენაკთან ახლო მდგარ ეკლესია-სამლოცველოში.

სოვდაგარი სურენი საშუალო ტანის და მკვრივი აგებულების, ორმოცდაათ წელს მიღწეული მამაკაცი გახლდათ, ხშირი ხუჭუჭა შავი თმით, ფართო წარბებით, მომწვანო-მოყვითალო-მოშავო ფერის კანით, ცისფერ-მწვანედ შერწყმული ჭკვიანური, ცოცხალი, მაგრამ ცბიერი გამოხედვის თვალებით. უხდებოდა კოხტად ჩამოვარცხნილი ოთხკუთხა ხუჭუჭა წვერი. ძვირფას ოქროს ჯვარს ატარებდა. საუბრისას უფრო თვითონ იძლეოდა შეკითხვებს; პასუხს ძუნწად და მოზომილად გასცემდა ხოლმე ნებისმიერს; მთლიანი სხეულის იერი ძალიან ფრთხილი ადამიანის ხასიათს გამოხატავდა. მხოლოდ ერთი, ლალისთვლიანი ბეჭდით და რომაული ბრტყელი, ორპირა ხანჯლით დადიოდა. შესანიშნავი მოხანჯლურის სახელი ჰქონდა გავარდნილი. როგორც კი ქრისტიანობა მიიღო, მრავალ ცოლს ჩამოშორდა და დაკანონებულ ერთცოლიანობას შეეგუა... დაულელი ბუნების კაცი იყო... სომხეთის თითქმის ყველა საეკლესიო პირს იცნობდა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ეჩმიაძინთან ახლოს, თავისი ხარჯებით, ორი ულამაზესი ბაზილიკა ააშენა ფერადი ტუფის ქვისგან. ნაღდი პატრიოტი გახლდათ უძველესი – ძირფესვიანი სომხეთისა...

ბრძენმა წმიდანმა და ძვირფასმა სტუმარმა ბევრი ისაუბრეს სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე და სურენმა დინჯად განაგრძო მოყოლა, რომ კარგად მიდისო სომხეთში ეკლესიათა მშენებლობა, ასევე რელიგიური სწავლა-განათლების საკითხი. მჭიდრო კავშირი გვაქვსო დამყარებული ბიზანტიასთან, ანტიოქიასთან, არაბეთთან, სპარსეთთან, თავისთავად.

– საეკლესიო წიგნების მთარგმნელობითი საქმიანობა სასიკეთოდ თუ დაიძრაო? – წმიდანი მხოლოდ ქრისტიანულ და საეკლესიო თემაზე ეკითხებოდა. – ყველაფერი კარგად მიდის, სულიერო დაო! – იყო პასუხი. – უფლის და ბიზანტიის იმპერიის მეოხებით, ჯერჯერობით მშვიდობა სუფევს ქვეყანაში.

– მადლობა უფალს! – დაამატა წმიდანმა. – მე მჯერა, მთარგმნელობითი საქმე კარგად წავა, რადგან ორთავე ერის დამწერლობა უძველესია. კერძოდ, კოლხურ-იბერიული ძალიან შორეულია. ებრაულ-ბერძნული სწავლებიდან შემიტყვია, ჩვენ წელთაღრიცხვამდე უკვე არსებულა, დაახლოებით მეხუთე საუკუნიდან; მაგრამ აქ ავბედითმა ისტორიამ, კერძოდ, იბერიელები ოთხი საუკუნე არამეულ (სემიტურ)-სპარსულ დამწერლობაზე გადაიყვანა. მერმე მოდის ღვთივმოვლენილი მეფე მირიანი და მან სამომავლოდ ააღორძინა უძველესი იბერიულ-კოლხური დამწერლობა, რამაც დიდი სამსახური გაუწია ქვეყნის ქრისტიანული ლიტერატურის, ბიბლიისა და სხვა მრავალი რელიგიური წიგნის თარგმნას...

ამასობაში ისტორიულად ამეტყველდა სურენ დიდებული და განმარტა:

– სომხები უძველესი დროიდან არამეულ-სპარსული დამწერლობით სარგებლობდნენ და დღესაც ძალაშია, წმიდაო ნინო! მაგრამ, ქრისტიანობის მიღების მერმე, სომხური ეკლესია უფრო ბერძნულ-ლათინურს ხმარობს.

– მთავარია, ხალხს – მრევლს ესმოდეს, – დასძინა წმიდანმა, – გარკვეული გახლავართ მაგ საკითხებში და მინდა გაუწყოთ, გარდა მწიგნობრობისა, მე სხვა დამაჯერებელი წყაროებიდანაც მომეწოდება ყოველივე, როგორც იდუმალი, ასევე რეალური...

– უფლის სახელით, ჩემი თხოვნაა, ქვეყანაში მართლმადიდებლობა განამტკიცოთ და გააძლიეროთ, სომხები მშრომელი და ნიჭიერი ხალხია, იმედი მაქვს, იბერიელებისა და კოლხების არ იყოს, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფოთაგანი გახდება.

მოკლე პაუზის შემდგომ შორს მჭვრეტელმა წმიდანმა მიმართა:

– სურენ, დიდებულო! ჩვენი თხოვნაა, როგორც შეიძლება, ახალგაზრდა თაობის მომზადებაზე იზრუნოთ: არ დაზოგოთ არაფერი და ქრისტეს სიყვარულით აშენეთ სრულიად ახალი ქრისტიანული სახელმწიფო.

– იბერიის შემდგომ, გთხოვთ, ჩვენთან, სომხეთში იმოღვაწეთ, ნინო, წმიდა დედაო! გონივრულად მიმართა სტუმარმა.

– სიამოვნებით წამოვიდოდი სომხეთში, მაგრამ მე მხოლოდ მაცხოვრის და დედაღვთისმშობლის ნებას ვასრულებ. ბიზანტიის დედოფალმაც შემომითვალა, ჩვენსას, კონსტანტინოპოლს ჩამობრძანდიო, ასევე უძველესი კოლხეთის მეფემაც, მაგრამ ჩემი აქედან გამგზავრება სხვა ქვეყანაში მხოლოდ უფლის დარიგებით, დავალებით და მითითებით მოხდება.

მერმე დედამ იბერიისა გულღიად დალოცა სომეხი ხალხი და ვაჭრად მოგზაურს საჩუქრად ბევრი ჯვარი და თავისივე ხელით ჩამოქნილი ნაკურთხი სანთლები გადასცა: – დაურიგე ყველას, ძმაო სურენ!

ისევ უმნიშვნელო დუმილის შემდგომ: – მცხეთაში ხუროები, ქვისმთლელები და ოსტატები ხომ არ გჭირდებათო, – სოვდაგარმა თავისი მეგობრული წინადადება შესთავაზა წმიდანს. – დიდად მადლობელი გახლავართ, სულიერო ძმაო და ფრიად დიდებულო! ამ მხრივ არავითარ ნაკლებობას ჩვენ არ განვიცდით. გვყავს ყველა სფეროში დახელოვნებული და განთქმული ოსტატები, ლაზები და ეგრისელები, რომლებიც ბიზანტიაშივე მოღვაწეობენ მნიშვნელოვან ადგილებში და ქრისტიანულ საქმეებსაც აკეთებენ, ხოლო იბერიელნი, დიდოსტატები, ჩვენთანვე ეკლესიათა და საფორტიფიკაციო ციხეთმშენებლობებზე გახლავთ დაკავებულნი. ყოველმა მათგანმა ხომ უცხოეთში, კერძოდ, ეგვიპტესა და საბერძნეთში მიიღეს მრავალ სპეციალობათა დიდი ცოდნა-გამოცდილება, დახელოვნება...

ზემოთ მიმდინარე თემაზე წმიდანმა ისევ გააგრძელა საუბარი: – მოგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ სომხეთის ეკლესიის რჩეული ჯგუფი გვესტუმრა. ერთობლივად განვიხილეთ ძალიან ბევრი სამომავლო გეგმა როგორც რელიგიური ხასიათის, ასევე საეროც. ამ საკეთილდღეო მეგობრულ საკითხებზეც იყო მსჯელობა და შინაარსიანი საუბარი: ოსტატთა, ხუროთა, სხვადასხვა განხრის ხელოვან ხელოსანთა და მუშახელთა ურთიერთგაცვლის თაობაზე. სრულიად იგივე პასუხი გავეცი ჩვენს სულიერ ძმებს... სხვა მრავალ საკითხზე, რა თქმა უნდა, სამომავლოდ, გადაჭრით შევთანხმდით, სურენ დიდებულო!

– კეთილი, უფლისმიერო წმიდანო. ყველაფერი გასაგები და საერთო სამეგობროში მისაღებია...

– ჩვენ, ყველას, იბერიელებს და კოლხებს ძალიან გვახარებს თქვენი ქრისტიანული და საერო მიღწევები, მხოლოდ ასეთი უნდა იყოს ურთიერთ ღვთიური სიყვარულით სავსე სიახლოვე. ვიმეგობროთ და ქრისტესმიერი კეთილგანწყობით ვიყოთ ერთმანეთთან, ეკლესია მხოლოდ ასე გვასწავლის.

– თუ რამეს დამაბარებ, დაო-წმიდანო?

– დიახ! ჩემს და ჩვენს სომხეთს, მის დიდებულ სამღვდელოებას, ქრისტიან მრევლს, ხელისუფალთ – ვუგზავნი ღვთიურ სიყვარულს და კეთილ სურვილებს, ვილოცებ ხშირად უფლის შემწეობით სომხურ-იბერიელ-კოლხურ ქრისტიანულ ერთობაზე და ძმობაზე.

აი, ასეთი გახლდათ წმიდა ნინოს რჩევა-დარიგება და ღვთისმშობლისეული წმიდათაწმიდა ლოცვანი...

ᲛᲣᲡᲐ ᲯᲐᲚᲘᲚᲘ

საკრფოს

შესაძლო არის დაგვიანდეს ჩემი წერილი,
იქნება ჩემგან არც ამბავი არ მოგვიდეთ,
იქნებ დაჰფაროს ჩემი კვალი
შავბნელმა მინამ
და ნატერფალზე ბალახები
ამობიბინდეს.

იქნება სიზმრად მინახულო შავად ჩაცმული,
ტანჯვა ნახული, წამებული,
დავცქერი ძირსა,
შენს გულში იქნებ წაიშალოს
ჩემი სხეული
და გაგიფანტოს სიტკბოებაც
პირველ კოცნისა.

ვიცი იქნება შენთვის მძიმე და მოსაწყენი,
ჩემი ლოდინი უსასრულო და უიმედო,
ერთხელ, როგორღაც შესაძლოა
წამოგცდეს კიდეც:
„ის აღარ არის“ და ამ შენს აზრს
ბოლომდე ენდო.

შესაძლო არის მე სრულიად,
მოულოდნელად,
შენს უძვირფასეს ტკბილ სიყვარულს
მოვწყდე მთლიანად,
მოვწყდე და ერთხელ წავიშალო
შენი ხსოვნიდან,
შენი გულიდან აღმოვიფხვრა
ძირფესვიანად.

ჩემო ძვირფასო, ეს იცოდე, რომ
შენზედ მხოლოდ
გულსაწყვეტი და სამდურავი მაშინ მექნება,
როცა სიკვდილი გაიმარჯვებს ჩემზედ
და შენსკენ
წამოსასვლელი ყველა გზები გადამეჭრება.

შენ რომ მელოდი, დღემდე იგი მაიმედებდა,
ბრძოლის ველზედაც იმით ვიყავ
მკლავღონიერი;
შენი სპეტაკი სიყვარული გზას მინათებდა –
მიცავდა, როგორც უხილავი ძალა ძლიერი.

ვთქვათ, მე დავეცი, მაშინ ჩემი
ურყევი ფიცი –
„რომ გავიმარჯვებთ!“ – ჩემს ხსოვნაში
მარად დარჩება.
ჩემო ლამაზო, არც შენ მეტყვი
მადლობას, ვიცი
თუ ჩემს სამშობლოს არ მოვუტანი
მე გამარჯვებას.

ბრძოლა იქნება ხანგრძლივი და
ბრძოლის გზა – გრძელი,
მაგრამ ძვირფასო, მომელოდე,
არ სთქვა – „ვერ მოვალ!“
წყალს რას დააკლებს თუნდ მოედვას
ცეცხლი ძლიერი –
არც შენ მოგელის სატრფოსათვის
ცრემლი და გლოვა.

სიზმარი ცრხეში

სიზმარში ჩემი პატარა გოგო
მოვიდა, ჩემს თმებს დაუწყო ვარცხნა,
– მამა, უშენოდ მომწყინდა, როგორ!
– სთქვა და ალერსით მიცქერდა ახლა.

მე ჩავიხუტე გოგონა გულში,
სიხარულისგან გიჟიც ვარ, მთვრალიც,
მაშინ ვიგრძენი მწარე ტანჯვისა
და სიყვარულის ძლიერი ძალი.

ჩვენ ორივენი გავედით მოლზე,
მოვსეირნობდით ყვავილთა ზღვაში,
სიცოცხლის სიტკბოს, ტრფიალის ძალას,
მთელს მსოფლიოში ვხედავდით მაშინ.

გამომეღვიძა, ბორკილგაყრილი,
კვლავ ციხეს ვუცქერ სქელკედლებიანს,
და ოცნებანი ჩემი მტანჯველი,
ჩემს გაღვიძებას ელოდებიან.

ოხ, რათ მატყუებთ ჩემო ფიქრებო,
ჩემთვის გაზაფხულს უკვე არ ველი,
რად მეჩვენებით ტკბილო სიზმრებო,
ან ტანჯვის ღამევ, რადა ხართ გრძელი?

თარგმნა
ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲖᲣᲛᲑᲐᲫᲔ

გაგა გომართელი

ჩემს მომავალ თაობას!

ახლა ჩემი ფიქრები მომავლისკენ გარბიან,
დამიჯერეთ, ქართველის ყველა ფიქრი დარდია;
სიბერისკენ წასული ვარ ნამცეცი თაობის,
უბედური ეპოქის მდგმური არარაობის.
ავი დროის ტუსაღი, სისასტიკის მთხრობელი,
დროის უკუღმართობის ყინვით გაუთბობელი,
ქრისტეს ასაკს მიმდგარი, გონება დარღვეული,
ერთ დროს სხვისი ჯალათი, სული გადარეული,
თავს ვიმართლებ, ასეთი ბედი ჭედა დროებამ,
ცხოველივით გამქონდა ბაცისფერი ცხოვრება.
ახლა ვხვდები ყველაფერს, მაგრამ არის გვიანი,
ყურთან ღმერთის ხმა მესმის, შენ ხარ ადამიანი?
სინანულის მჭამს განცდა, ყველა ნამოქმედარის,
მინდა სული გავრეცხო, ღმერთის გავხდე მხედარი,
მაგრამ ერთხელ დალაქულ ვეღარ ვშველი გონებას,
უბადრუკი ცრემლები, აი ჩემი ქონება,
ზამთარია ჩემს გულში, სევდისფერად მთოვარი,
აი, ჩემი მეფობის, ოქროს მონაპოვარი.
ახლა ვხედავ ავსა და სიკეთეში სხვაობას,
ჰოდა, გემუდარებით, ჩემს მომავალ თაობას:
უფლის კვალზე იარეთ, ნაცვლად ძმათა ომისა,
მორჩილებით შეაღეთ კარი ამბიონისა.
გონება არ დაუთმოთ ცოდვას ფიქრად მოწოლილს,
ბოროტებას ნუ დარგავთ, ჩაიხუტეთ ობოლი,
რწმენით მამაპაპურით ახათქუნეთ თასები,
კაენს ნამოქმედარში ნუღარ დაემსგავსებით.
სულს ცოდვა გამოგლიჯეთ, ყური კეთილს ათხოვეთ,
საქართველოს დიდების ჟამი მოიახლოვეთ.
გახსოვდეთ, რომ ამქვეყნად არ არსებობს პირადი,
ლუკმა გაუნაწილეთ, მიუსაფარს, მივარდნილს.
ჭეშმარიტი გზის მკვლევად ერთი გქონდეთ კომპასი,
სადაც სიყვარულია, სადაც გიხმობთ მოყვასი.
გონაბნეულ ასულის დევნა არის საცდური,
ჩანასახში ჩაკალით საქმე არაკაცური.
პატიების მომთხოვნელს მუშტებს ნუ მოუღერებთ,
ტყუილს ნუ გაამეფებთ, ნამდვილ გრძნობას უმღერეთ.
კუპრის ტბორში ჩაფერფლილს გამაგონეთ ძახილი,
სამშობლოსთვის ნალესი დამანახეთ მახვილი.
ჯოჯოხეთის ქვესკნელში გამაგონეთ „შავლეგო“,
მინდა სულმა ქართულმა საზვერენი წალეკოს.
მჯერა, მეიმედება, რომ გოლგოთას გაივლით,
ქართულ სულსაც დაანთებთ ცაზე ჩირაღდანივით.
არ დაკარგოთ ოღონდაც ძლიერება, ერთობა,
ერთმანეთის სულისთვის უფალს სთხოვეთ შენდობა.
გულით მიუსამძიმრეთ, სევდას ცრემლად ჩამოშლილს,
სუნთქვა გადააფარეთ, დედის ხელებს გათოშილს.
დამანახეთ ქართველი ერი როგორ აშენდა,
ჩამომძახეთ რომ დილა ბედნიერი გათენდა.
მამაპაპის ნასისხლარს ფუჭად არ ჩაუვლია,
რომ ქართველის მოშურნე ყველა დამარხულია.
გუნდმა შევარდენების გული შემომინგრიოს,
ვისაც შური აცოცხლებს, შურიც იმან იძიოს.
თქვენ კი, მიტევებასთან მოახდინეთ თანხვედრა,
დამანახეთ ბოროტი მადლმა როგორ გახედნა.
რაღა გითხრათ, მიწა ვარ, სხვა რამ არ დამრჩენია,
აწმყომ მე არ მიწყალა, მომავალი თქვენია!

წერილი მამას

მოვედი და სამარესთან ჩამოვდექი ლანდივით,
წამოვშალე მაგ შენს გულზე ბეღურების ნადიმი.
შენს საფლავზე ყვავილები გამოცოცხლდნენ ჩეროდან,
გამიცოცხლდი, სულ ცოტა ხნით, გნახო მამაჩემო-და,
გითხრა, როგორ დამილეწა ბედის ქარმა გვერდები,
ნახე, როგორ დაგემსგავსე, ერთნაირად ვბერდებით.
შენ რაც მითხარ და მასწავლე, გული იმით ივსება,
რომ არასდროს ვუღალატებ შენს სახელს და ღირსებას.
შემეშველე, რა ვუშველო სულს ცოდვისგან ნაწვალებს,
ყველას როგორ უერთგულო, კიდევ ერთხელ მასწავლე.
სუსტი ვარ და მაპატიე, მიჭირს აღიარება,
რომ ძნელია შენისთანა კაცის ჩრდილის ტარება.
დაღლილი ვარ, არ იფიქრო, ბედს დაწერილს ვუწუნებ,
განა მუხლი დამისუსტდა, განა რამეს ვწუწუნებ.
განა მტკივა, ან უცხოა ცხოვრებისგან გალახვა,
მეგობარი ხარ ჩემი და განა მარტო მამა ხარ.
გიყვები და არ იღელვო, რომ ასეთი ბედის ვარ,
მიხარია შენი მსგავსი ჯვრის ტარება მეღირსა.
ახლა წავალ, არ იდარდო, განა ის დრო შორს არი,
როცა ჩემიც დამთავრდება ბედის კრიალოსანი.
აჰა, ჩვენი საუბარის დასასრულთან მივედით,
დარდთან ერთად წამომყვება შენი ნახვის იმედი.

იქ, სადაც...

(ბიჭებს)

არ დაუჯეროთ მლიქვნელ კლარკებს
ვიცი, რომ ერთი ოცნება გხიბლავთ,
თქვენი სამშობლოს დარდი გაბერებთ,
დამარცხებული ქართველი გწიხლავთ.
იქ გიყვართ ყოფნა, სადაც შევარდენს
ცა ირაოთი დაუხაზია,
დასაბამიდან, ვიდრე ჩვენამდე
ამბორს ვყოფთ, სიტყვას ფარნავაზიანს.
სად ქარაფების ძარღვებში მოქრის
ნაომარ სულთა დიდება, წინსვლა,
და წინაპართა ნაღეჭი ორთქლი
ზეცას ჩამოჰყავს თალხისფერ ნისლად.
საიმედონი, ერთგული ყმანი
ხართ მედროშენი, ასე მგონია,
სამშობლოს გარდა სხვა სათაყვანო
არც გინატრიათ, არცა გქონიათ.
იმას ოცნებობთ, რომ სისხლი თქვენი
წინაპართ კვალად ძარღვებში დუღდეს,
ამაყობთ თქვენი ქართული გენით,
და ამ გენისვე ატარებთ უღელს.
არ დაუჯეროთ მლიქვნელ კლაკერებს,
ვიცი სამშობლოს არ გაცვლით, არა,
ცას ვაჟკაცობას შემოაკერებთ
და თავმდაბლობას ირგუნებთ ფარად.
ჩემზე რა გითხრათ, თავდაღმართს ვუმზერ
და იწრიტება დღენი სიცოცხლის,
მეც საქართველო მეწერა გულზე,
მეც საქართველოს მზეში ვიწვოდი.
უკანასკნელი ფიქრი მკლავს, ძმებო,
შეუბრალებლად მაწვალებს მუდამ,
ძვლები ამ ქართულ მიწაში მედოს,
ვიცოცხლო ისე, ვით მამას სურდა.
არ დაუჯეროთ სიყალბის მსახველს,
ყველა ღიმილი განძია განა?
ელოლიავეთ სამშობლოს სახელს,
დადექით, სადაც გმირები დგანან!
მეიმედებით, გაცხელდა გული,
ვით გიჟი, ვიფხრეწ დარდის არტახებს,
ვიბრძოლებ, სანამ ცხოვრების წყლული
მომკლავს და სულ მთლად გამაპარტახებს.
დამჟანგებია სიტყვა და ხმალი,
ვწუხვარ, რომ მეტად ვერ შეგიყვარეთ,
აჰა, თქვენ ჩემი წილი ბორჯღალი
და საქართველო გადაიბარეთ!

ლეილა ჯაფარიძე

ცეცხლნაკიდები ჟამი სდის

(ჩემი სოფელი ავლევი სამაჩაბლოს საზღვრის პირას მდ. ფრონეს მარჯვენა სანაპიროზეა გაშენებული. იგი 2008 წლის ომის დროს მნიშვნელოვნად დაზარალდა).

დღეს სიყვარულით ვთენდები,
ხვალ ქარიშხლები მაკვირვებს,
ზოგჯერ უჟამოდ ვბერდები,
– ზეცა თუ ღრუბლებს ამკვრივებს...
კუზი, ბაკანი, ეშვები,
მოჰგავს ჯალალებს ნამდვილებს,
ჯავრის ბადეში ვეხვევი,
– დავწყვეტ მტრის ჟინს და წადილებს.
ჩამომცრობილი სამშობლოს
ფიქრი „საზღვართან“ მაყოვნებს...
მტერს თუ თავისი არ ჰყოფნის,
„სხვის მიწა დაანაყროვნებს“?!
უფალი, უქმად განა სჯის
– ერთ დროს იუდას ამყოლებს...
გულამღვრეული გავყურებ
ფრონის გადაღმა მაყლოვნებს...
მდუმარებს, ჟამი სახსოვარ,
„ნათლისმცემლების“ ლოდები,
სამშობლოს გარდა სხვა სათაყვანო
არც გინატრიათ, არცა გქონიათ.
იმას ოცნებობთ, რომ სისხლი თქვენი
წინაპართ კვალად ძარღვებში დუღდეს,
ამაყობთ თქვენი ქართული გენით,
და ამ გენისვე ატარებთ უღელს.
არ დაუჯეროთ მლიქვნელ კლაკერებს,
ვიცი სამშობლოს არ გაცვლით, არა,
ცას ვაჟკაცობას შემოაკერებთ
და თავმდაბლობას ირგუნებთ ფარად.
ჩემზე რა გითხრათ, თავდაღმართს ვუმზერ
და იწრიტება დღენი სიცოცხლის,
მეც საქართველო მეწერა გულზე,
მეც საქართველოს მზეში ვიწვოდი.
უკანასკნელი ფიქრი მკლავს, ძმებო,
შეუბრალებლად მაწვალებს მუდამ,
ძვლები ამ ქართულ მიწაში მედოს,
ვიცოცხლო ისე, ვით მამას სურდა.
არ დაუჯეროთ სიყალბის მსახველს,
ყველა ღიმილი განძია განა?
ელოლიავეთ სამშობლოს სახელს,
დადექით, სადაც გმირები დგანან!
მეიმედებით, გაცხელდა გული,
ვით გიჟი, ვიფხრეწ დარდის არტახებს,
ვიბრძოლებ, სანამ ცხოვრების წყლული
მომკლავს და სულ მთლად გამაპარტახებს.
დამჟანგებია სიტყვა და ხმალი,
ვწუხვარ, რომ მეტად ვერ შეგიყვარეთ,
აჰა, თქვენ ჩემი წილი ბორჯღალი
და საქართველო გადაიბარეთ!

დამრეცზე მუხა იბურვის,
რძისფერი ნისლის ბლონდებით.
ცეცხლნაკიდები ჟამი სდის,
ვერცხლის დიდებით ვღონდები,
ქართლის საცისკრო ქედებო,
მზესევდით მომაგონდებით!..

***

ნასმენი – ბრმა იყო,
– ნადავლი რა იყო?
ბებერი გალავნის ხავსი და
ქვა იყო!
ჭა იყო ელამი,
ძველი და ღრმა იყო,
ფსკერი ვარსკვლავებით
პირსავსე ცა იყო.
როგორც ფარატინა, ფლეთილი გზა იყო,
ჟამი, მოლოდინის
წამებად დაიყო.
სად აველ, – მთვარის
ნალევი ქვა იყო!

***

დავაგვიანე...
სიძულვილი დავაგვიანე
და ამიტომაც
ომი მაქვს, ომი!
სიმშვიდისათვის
ცის ქუხილი გავატიალე,
გული ვიჯერე,
ჩამოვქსოვე სიჩუმის ფონი.
ვკიბე აღმართი,
დანაბადი გავამზიანე...
უკვე მწიფეა დრო
და ლევას განიცდის ღონი...
ელიფსის ცაზე
მდუმარების მარტივობს გონი!
აქ, კუბიკ-რუბიკს
ჩაეშალა კვლავ წმინდად რგოლი...

პოეტი

იანვრის ღამის ცა,
ვარსკვლავებს მოარიალებს,
სუსხიან ბუქებს
ავერცხლისფრებს
ახალი მთვარე.
თრთოლვით ვითვალე
ნაბიჯები და დადინჯებით
ვიტყვი: პოეტი ალბათ გასცდა
სხვა არეალებს...

გლუვია, გლუვი
ამ ქათქათა პლანეტის კიდე...
აითვლის გული
ბაგა-ბუგით დროთა იამებს
და ეძერწება სული
მთვარის ყვითელ პერგამენტს...
აქ მოლოდინის გაცხადება
დაიგვიანებს?..

სამყაროს გასაოცრად

„თვალი თვალს რომ გასცილდა...„
– ცრემლი ბროლის მძივია...
მონატრება ძვირია,
წვიმა ახლა ცივია...
მზე კი იყო თაკარა,
მდორე-მდორე დგაფუნა,
მოფართქალე მათარა,
კორდის მტვერმა დაფარა!
პირველ, თეთრი სუდარა
მკერდზე გადააფარა...
მთა მაღალნი შევძარი,
ცამ მაყარა ცეცხლები,
განმეძარცვა ვერცხლები...
მიწავ, ისევ ვერ ცხრები!
მამასისხლად შევძელი
ხსოვნის წმინდა ნაცრემლის
სიონისგან დალოცვა...
სამყაროს გასაოცრად:
თვალი თვალს რომ გასცილდა, –
გული კი არ გაცივდა,
ხსოვნის ნაპერწკალები
ვარსკვლავებად დაცვივდა...

იზოლდა სარქისიანი

მე შენ სიყვარულს გასწავლი...

მე შენ სიყვარულს გასწავლი,
თეთრად გასათევ ღამისა,
რომ ნეტარებით თვრებოდე
დაუსრულებელ წამისა...
ვეღარ დაიცხრო წყურვილი,
სურვილის ცეცხლით იწვოდე,
ერთგული ქალის ფასი და
ნამდვილი გრძნობა იცოდე!
მე შენ სიყვარულს გასწავლი,
კანს შეუმშრალი ნამისა,
1001 ღამეს ნატრობდე,
არ გათენებას ღამისას...
კუბოს კარამდე მოგელი,
თუ კი მომძებნი, ვიცოდე,
გული ტრფიალით გიძგერდეს,
ნუ შემიცოდებ, იცოდე!
შხამის ფიალით დამათვრე,
მე პურს მარილში გიწობდე,
ჭეშმარიტ გრძნობის მსხვერპლი ვარ,
სახელად გიჟს ნუ მიწოდებ.
ხარბად შეგასვა ნექტარი,
ვერ მოსაშორებ ბაგისა,
რომ სინანულმა დაგსაჯოს
შენგან ხელნაკრავ ქალისამ!

ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა სამცხე-ჯავახეთში

(გარდაცვალებიდან 125 წლისთავის გამო)

2015 წელს შესრულდა ცნობილი ქართველი მოღვაწის ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის გარდაცვალებიდან 125 წლისთავი. მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია. მან თავისი საგანმანათლებლო მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა და განსაკუთრებით ნათელი კვალი დაამჩნია სამცხე-ჯავახეთში ქალთა განათლებას, რაც იმ დროს ძალზედ აუცილებელი და საჭირო იყო. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც, წლების განმავლობაში, ამ კუთხეში ცხოვრებდნენ და იღწვოდნენ მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

ქართველი ქალის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეროვნული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში, ყოველთვის აქტიური იყო. XIX საუკუნეში განვითარებულმა მოვლენებმა ქალის დანიშნულების სრული გააზრება და აქედან გამომდინარე ქალთა ფართო განათლების აუცილებლობის საკითხი წამოჭრა. პროფესორი ვლადიმერ გაგუა სამართლიანად შენიშნავდა, რომ **„ქალის დანიშნულებისა და მაღალი მოწოდების დასაბუთებაში XIX საუკუნის დასასრულს ქართული პედაგოგიური აზრი არა თუ ჩამორჩებოდა პროგრესულ ევროპულ აზრს ამ საკითხზე, არამედ წინ უსწრებდა კიდეც“.** (ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ., 1974, გვ. 306.).

იმ პერიოდში შექმნილი შინაპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სამცხე-ჯავახეთში ქალთა საზოგადოებრივ მოღვაწეობას საგანმანათლებლო მიმართულება ჰქონდა. XIX საუკუნის 20-იან წლებში ეს მხარე განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან და შეუერთდა დედა სამშობლოს. იგი, იმავდროულად, აღმოჩნდა მეორე დამპყრობლის – რუსეთის ხელში, რომელმაც იმთავითვე დაიწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელება. როდესაც რეალური საფრთხე შეექმნა ყოველივე ეროვნულს – ქართულს: ენას, წეს-ჩვეულებას, ტრადიციას, ეპოქის უპირველეს მოთხოვნად იქცა მოსახლეობაში განათლების შეტანა და მისი კულტურული დაწინაურება. რამდენადაც ტრადიციულად ქართულ ოჯახში ქალი მიჩნეული იყო ძირითად აღმზრდელად და ეროვნული ტრადიციების დამცველად, განსაკუთრებით აუცილებელი გახდა ქალთა განათლება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქთა მრავალწლიანმა ბატონობამ მძიმე ვითარება შექმნა, საერთოდ, განათლების სფეროში. აღნიშნულ პერიოდში სამცხე-ჯავახეთში ქალთა განათლების ერთ-ერთ ფორმად იქცა ე.წ. საშინაო-საოჯახო სკოლები. ასეთი სკოლები გოგონებისთვის მხოლოდ წერა-კითხვის სწავლებით არ შემოიფარგლებოდა. მათ, აგრეთვე, ასწავლიდნენ: ანგარიშს, ლოცვებს, ეტიკეტს – ე.ი. საზოგადოებაში ქცევის წესებს და, რაც მთავარია, ქალის ხელსაქმეს.: ჭრას, კერვას, ქარგვას, ქსოვას და ა.შ. საერთოდ, საშინაო სკოლების მიზანი გლეხთა და ხელოსანთა ოჯახებიდან გამოსული გოგონებისთვის ელემენტარული განათლების მიცემა იყო. XIX საუკუნის I ნახევრის მდგომარეობით სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე ასეთი სკოლა ფუნქციონირებდა, რომელთაც იმ დროის შესაფერისად განათლებული ქალბატონები უძღვებოდნენ, კერძოდ, ასეთი საოჯახო სკოლები არსებობდა: სოფელ ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი), რომელსაც უძღვებოდა თერეზინა ხუციშვილი; ვალეში – სკოლის დამააარსებელი იყო მარიამ გასპარის ასული ბაღდოშვილი; (*ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N 209, ივ. გვარამაძე, ვინმე მესხის მოკლე ცხოვრება, შედგენილი 1891 წელსა.)*

სოფელ უდეში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ქალბატონები: **ანა თომას ასული ბალახაშვილი** და **პელაგია პეტრეს ასული სარაშვილი**.

XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში ქალთა განათლების დაწინაურების საქმეში ადგილობრივ მესხ ქალებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამობრძანებულმა ქალბატონებმა. ისინი იყვნენ ძირითადად იმ სახელმწიფო მოხელეთა მეუღლეები, რომლებიც ამ კუთხეში მსახურობდნენ. ასეთ ქალბატონთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის მოღვაწეობა. იგი დიდ ინტერესს იწვევდა მის თანამედროვეთა შორის, რაზეც მეტყველებს იმ პერიოდის მრავალი საგაზეთო სტატია. დღემდე არ შენელებულა ამ საკითხისადმი ყურადღება, რაც იმაში გამოიხატება, რომ იმ პერიოდში გამოცემულ რამდენიმე ნაშრომში მას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. მათ შორის ანტონ ნებიერიძის ნაშრომში – „ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი“, ნაზი სუდაძის – „სოციალური ვითარება და საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში“, ასევე ფართოდ არის განხილული ნატო ყრუაშვილის სადისერტაციო ნაშრომში – „ივანე გვარამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში“. ისიც უნდა ითქვას, რომ ვერცერთი მეცნიერი, რომელიც იკვლევს სამცხე-ჯავახეთში კულტურისა და განათლების სფეროს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, გვერდს ვერ აუვლის ანა ღოღობერიძის მოღვაწეობას, მის დაარსებულ ქალთა სკოლას, ამ სკოლის აღზრდილთა საქმიანობას.

ანა ღოღობერიძე დაიბადა 1842 წელს ქალაქ ქუთაისში. იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწის **ნიკოლოზ ღოღობერიძის** და იყო, მიღებული ჰქონდა იმ დროისათვის შესაფერისი განათლება. კერძოდ, განათლება მიიღო წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში. ქალაქ ახალციხეში მისი მოღვაწეობა განაპირობა იმან, რომ მისი მეუღლე მ. **მუსხელიშვილი** ახალციხის მაზრის სამხედრო უწყების მოხელე-გენერალი იყო.

ქ. ახალციხეში საცხოვრებლად გადმოსულმა ანამ, სრულიად ახალგაზრდამ, 1870 წელს დააფუძნა **„საქველმოქმედო საზოგადოება“.** აღნიშნული საზოგადოების მიზანი ახალციხეში ქართველი ქალებისთვის უფასო სასწავლებლის დაფუძნება, მათთვის ხელსაქმის სწავლება და ქართული სულისკვეთებით აღზრდა იყო. საქველმოქმედო საზოგადოების წევრები იყვნენ ადგილობრივი სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი. ამასთან დაკავშირებით **იაკობ გოგებაშვილი** მოგვიანებით წერდა: **„ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილისა მაშინ საუკეთესო მანდილოსნად იყო მიჩნეული მთელ შეგნებულ საქართველოში თავისი იშვიათი ჭკუით, მომხიბლავი გულკეთილობით, დარბაისლური ხასიათით და მხურვალე მონაწილეობით ყველა საზოგადო საქმეში. მან, სხვათა შორის, დააფუძნა საქველმოქმედო საზოგადოება ახალციხეში და დააარსა საქალებო სკოლა“.**

1870 წლის 4 აპრილს ანა ღოღობერიძემ ქალთა უფასო სკოლა დააფუძნა, ხოლო მეცადინეობა 1 მაისს, თამარ მეფის სახელობის დღეს დაიწყო. რაბათის ქალთა სკოლის „წმინდა პედაგოგიურ გეგმაზე აშენებული და ჩინებულად წარმოებული“ საქმიანობის შესახებ ქართველ საზოგადოებას ამცნო ჟურნალმა „განათლებამ“. სასწავლებელი ღარიბთა შვილებისთვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, სწავლა უფასო იყო. ხოლო სკოლის ხარჯები ანა მუსხელიშვილმა იკისრა, რასაც ემატებოდა საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა შესატანები, შემოწირულობანი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთდროული დახმარება, საღამო წარმოდგენებიდან, მოსწავლეთა ნაკეთობების რეალიზაციიდან შემოსული თანხა. ყოველივე ამის ორგანიზატორი ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი იყო.

კონსტანტინე გვარამაძის ცნობით, აღნიშნული სასწავლებელი მოთავსდა რაბათში, ნაქირავებ სახლში. თავდაპირველად თვითონ ასწავლიდა გოგონებს, ხოლო შემდეგ თბილისიდან და ქუთაისიდან მიიწვია ორი მასწავლებელი, როგორც რუსულ-ქართული ენების, ისე ქსოვისა და ქარგვის შესასწავლად (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N4011, კ. გვარამაძე, მოკლე ისტორიული მიმოხილვა რაბათის დედათა სასწავლებლის არსებობისა და ა. ბ. ღოღობერიძე-მუსხელაშვილის ბიოგრაფია).

ასევე ერთ-ერთ აუცილებელ საგნად ითვლებოდა საღვთო სჯული, რომელსაც ასწავლიდა სპეციალურად მიწვეული მღვდელი. აღნიშნული სასწავლებელი საშუალოდ წელიწადში 60-მდე მოსწავლეს ამზადებდა. სასწავლებელს ყოველწლიურ ნივთიერ დახმარებას უწევდა ქალაქის გამგეობა – 3000 მანეთით. ივანე გვარამაძის ცნობით, სასწავლებელს ეხმარებოდა მაზრის უფროსი ნიკო ალექსი-მესხიევი. იგი ძირითადად შემოწირულობის ხარჯზე არსებობდა. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ახალციხის მოქალაქეთა უღარიბეს ფენას მიეკუთვნებოდა, ხოლო თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე იგი პროფესიულ სასწავლებელს წარმოადგენდა, რამდენადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ხელსაქმის შესწავლას.

სასწავლებელმა იმთავითვე დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე ხელისუფლებაშიც. 1872 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი ანა მუსხელიშვილის კორესპოდენციით ვგებულობთ, რომ რაბათის ქალთა სკოლა, 31 მარიამობის თვეს, მოინახულა „მისმა უმაღლესობამ ნამესტნიკმა, დიდმა მთავარმა“. ანა მუსხელიშვილს მისთვის უჩვენებია სასწავლებელი და სახელსაქმო ოთახები, უპასუხნია მეფისნაცვლის კითხვებზე: როდის დაფუძნდა სასწავლებელი, ვინ იყვნენ მასწავლებლები, რამდენი და რა ასაკის იყვნენ შეგირდებ და ა.შ. ბოლოს კი მადლობა მოუხსენებია მისთვის და სინანულიც გამოუთქვამს იმის გამო, რომ ყმაწვილები ვერ ნახა (*ა. ღოღობერიძე, კორესპოდენცია, გაზ. „დროება“, N 36, 1872.*).

ახალციხის ქალთა უფასო სკოლის დაფუძნებას იმთავითვე დიდი მონონებით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნული სკოლის დაფუძნებას „ცისკრის ამოსვლას“ ადარებდა, იგი აღფრთოვანებული წერდა: **„იმედი ვიქონიოთ, რომ ახალციხის ქალთა უფასო სკოლა ჰპოვებს მიმბაძველებს ჩვენი კუთხის სხვა საბაზო ქალაქებში და იქნება ნიმუში ქალთა უფასო სკოლების დაარსებისა და ორგანიზაციისა, რომელთა საჭიროება ყველგან ასე ძლიერ იგრძნობა“** (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I, გვ. 20-21, 1952.)

აღნიშნული სკოლის ფუნქციონირებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან უდიდესი როლი შეასრულა მესხეთში ქალთა განათლების საქმეში. ამასთანავე, ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძის) სამართლიანი შენიშვნით იგი წარმოადგენდა „ერთ-ერთ ზღუდეს აქაური გამქრალი ქართველებისა“ (ალ. ფრონელი (ყიფშიძე), „დიდებული მესხეთი“, თბ. 1991.) აკაკი წერეთელმა კი, პატივისცემის ნიშნად, ანა ღოღობერიძეს 1871 წელს უძღვნა ლექსი „ვარდის ხმაზედ“.

1875 წელს ანა მუსხელიშვილმა დატოვა ახალციხე. იგი „დროების“ ერთ-ერთ კორესპოდენციაში წერდა: „სხვადასხვა მიზეზებისა გამო, იძულებული ვიყავი 20 ამ თვეს დამეტოვებინა ახალციხე, სასწავლებელი და ყველა საქმეები. რაც იმას შეეხებოდა, ჩავაბარე ახალციხის კეთილმოქმედებითს საზოგადოებას... მე ჩავაბარე საზოგადოებას სასწავლებელი 70 შეგირდით“ (*ა. ღოღობერიძე, კორესპოდენცია, გაზ. „დროება“, N111, 1875.*)

ა.ღოღობერიძე დროებით საცხოვრებლად გადავიდა რუსეთში, ხუთი წლის შემდეგ კი ქუთაისში დაბრუნდა, სადაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაწყებითი სკოლის დასაარსებლად შექმნილ საზედამხედველო კომიტეტს ჩაუდგა სათავეში. დიდი მუშაობა გასწია სკოლის (შემდეგ სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის) შესაქმნელად. 1885 წელს იგი კვლავ ახალციხეში – თავის საყვარელ სკოლაშია.

ანა მუსხელიშვილ-ღოღობერიძის სახელს უკავშირდება ახალციხეში თეატრის დაფუძნებაც, რამდენადაც მის მიერ დაარსებული საქველმოქმედო საზოგადოების უმთავრესი მიზანი იყო ქალთა უფასო სკოლის შენახვა, იგი ცდილობდა სხვადასხვა საშუალებებით მოეპოვებინა სახსრები. ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენდა სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენების გამართვა. ამ საკითხთან დაკავშირებით **ილია მაისურაძე** აღნიშნავდა: **„ახალციხური წარმოდგენები, რაკი მათი შემოსავალი ქალთა სკოლისათვის იყო დანიშნული, ამ სკოლის დაარსების პირველ წლებშივე უნდა იღებდეს სათავეს 1870-1872 წლებში“** (*ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N 433. ილია მაისურაძე, „მესხეთის თეატრალური წარსულიდან“*).

მესხეთში თეატრს მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა. ქალაქ ახალციხეში მოქმედი ორივე დასის მიერ განხორციელებული საღამო-წარმოდგენები, გარდა იმისა, რომ ემსახურებოდა მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას, ეროვნული ტრადიციების დაცვას, ითვალისწინებდა ქველმოქმედებასაც. კერძოდ, დახმარებას უწევდნენ რაბათში არსებულ დედათა და კათოლიკეთა სასწავლებლებს, ადგილობრივ სამკითხველოს. ამაზე მეტყველებს XIX ს-ის დასასრულს ქართულ პერიოდიკაში დაცული მდიდარი მასალა. სწორედ ამ მასალით ირკვევა, რომ ანა ღოღობერიძე იყო თეატრალური დასის არამარტო დამფუძნებელი, არამედ მისი ერთ-ერთი აქტიური წევრიც (გაზ. „დროება“, 1910, N 17, გვ. 9).

გაზეთი ივერია წერდა: **„ამ ერთი თვის განმავლობაში აქაურის კლუბის დარბაზში ქალბატონი ანნა მუსხელოვის თაოსნობით იყო გამართული ორ მოქმედებიანი კომედია „ძუნნი“. წარმოდგენა იყო გამართული აქაურის ქართველი ქალების სკოლის სასარგებლოდ... სწორედ დიდი მადლობის ღირსია ამ საქმის მოთავე ანნა მუსხელიშვილისა. მისი მოღვაწეობით უდგია სული აქაურის ქართულის საქალებო სკოლას. რომ არა მისი ზრუნვა ვინ იცის იქნება ეს სკოლა აქამდე ხუთჯერ გაუქმებულიყო“** (გაზეთი „ივერია“, 1889: N41).

ანა ღოღობერიძე 1890 წლის 30 მაისს, მძიმე სენით დაავადებული, თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა, რაც დიდ დანაკლისად მიიღო ქართველმა საზოგადოებამ. მის გარდაცვალებას იუწყებოდა ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი. მისმა მეუღლემ სამძიმრის მრავალი დეპეშა მიიღო. ქალაქ ახალციხეში, წმინდა მარინეს ეკლესიაში, **დიმიტრი ხახუტაშვილის** მიერ გადახდილი იქნა პანაშვიდი. გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ვრცელი ნეკროლოგი, სადაც დეტალურად იყო განხილული ანა მუსხელიშვილის მოღვაწეობა: **„დიდი უმრავლესობა ამ სკოლის მოსწავლე ქალთა ეკუთვნის ახალციხის უღარიბეს წრესა. ეს ღარიბი მოსწავლე ქალები თავისივე ხელსაქმით ირჩენდნენ თავსა და ხშირად ეხმარებოდნენ თავის ღარიბ ოჯახსაც. გულის დამატყვევებელ სანახავს წარმოადგენდა მაშინ ღარიბ ქალთა სკოლა ახალციხისა, დაფუძნებული ჭეშმარიტ სიყვარულზე და გონიერ შრომაზე... ასეთი სამაგალითო სკოლის დაარსება შეეძლო მხოლოდ ისეთ იშვიათ ადამიანს, როგორიც იყო განსვენებული ანეტა, რომლისთვისაც არ არსებობდა არაფერი კერძო, საკუთარი ინტერესი. იმის ცხოვრება მთლად ეკუთვნოდა მის სკოლას, რომლითაც განახორციელა თავისი საზოგადო მოღვაწეობა“.** როგორც გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. მათ შორის ახალციხის საზოგადოებისა, რომელიც ლითონის ძვირფასი ლენტით იყო მორთული წარწერით: **„ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებისა და დედათა უფასო სკოლისაგან ჩვენს მფარველს და დამფუძნებელს ანა მუსხელიშვილისას“.** იგი დაკრძალეს დიდუბის პანთეონში (*ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი, გაზ. „ივერია“, N112, 1890*).

1911 წელს ახალციხის საზოგადოებამ აღნიშნა რაბათის დედათა სკოლის 40 წლისთავი და განსაკუთრებული მადლიერებით იქნა მოხსენიებული ანა ბესარიონის ასული ღოღობერიძე-მუსხელიშვილი – მესხეთში ახალგაზრდების, განსაკუთრებით ქალთა სწავლა-აღზრდის დიდი მოამაგე.

ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის მოღვაწეობა ფასდაუდებელია, მის მიერ დაფუძნებული სკოლა 50 წლის განმავლობაში განათლების კერად იქცა, სადაც მესხი გოგონები მშობლიურ ენაზე ღებულობდნენ განათლებას, სწავლობდნენ საჭირო ხელსაქმეს და ქვეყნის სიყვარულს. ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილნი კი ცდილობდნენ თავიანთი შვილებიც ეროვნული თვითშეგნებით აღეზარდათ.

ახალციხის ქალთა უფასო სკოლის ერთ-ერთი ღირსება ისიც იყო, რომ იქ ერთმანეთის გვერდით სწავლობდნენ სხვადასხვა ეროვნების გოგონები: ქართველები (კათოლიკენი და მაჰმადიანები), ბერძნები, რუსები, ებრაელები. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მეფის რუსეთი ყველანაირად ცდილობდა როგორც მთელ საქართველოში, ისე ამ კუთხეშიც ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა სხვადსხვა ეროვნების ადამიანები – გამოეწვია ეთნოკომფლიქტები, ქართველი ხალხი ჩამოეშორებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისაგან. სწორედ ამიტომ წერდა **ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელისა**: **„ზოგჯერ არიან ისეთი პირნი, მართალია იშვიათნი, რომელნიც, თუმცა ვიწრო წრეში, მოქმედებენ, მაგრამ მათი გავლენა ისეთნაირად აღიბეჭდება ყველა ადამიანზედ, რომ რაც უნდა დრო გავიდეს, დაუვიწყარი რჩება და უფრო ბევრი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე დიდ ნიჭს, რომელსაც ხშირად კაცი ბოროტებით ხმარობს“.**

ამ სკოლის არაერთმა აღზრდილმა ისახელა თავი ხელოვნების უნიკალური ნიმუშების შექმნით. მათ მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოში გამართულ, ისე მსოფლიო საერთაშორისო გამოფენებში და დაიმსახურეს უმაღლესი ჯილდო. რაბათის ქალთა სასწავლებლის აღზრდილთა შორის წარმატებულნი იყვნენ: **როზა (როზალია) მეფისაშვილი, ნატალია გიორგაძე, აღათია გოზალიშვილი** და სხვანი. ისინი თავიანთი საქმიანობით ერთგვარ პროპაგანდას უწევდნენ ქართულ კულტურას. ამიტომაც არის, რომ **მიხეილ კეკელიძე** სამართლიანად აღნიშნავს: **ანა ღოღობერიძემ თავისი საქმიანობით ბევრ ახალგაზრდა ქალს გაუხსნა გზა საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად (მ.კეკელიძე, „ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი“, კრ. „განმანათლებლობა საქართველოში: იდეები და მოღვაწენი“, 2015წ.).**

ამრიგად, ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილმა თავისი საგანმანათლებლო მოღვაწეობით უდიდესი სამსახური გაუწია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას. განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სწავლას მოწყურებული მესხი გოგონების განათლებაში, აღზარდა და ცხოვრების გზაზე დააყენა. მათი სახით ქვეყანას აღუზარდა ღირსეული მოქალაქეები. ბევრი მათგანი იყო სახელოვანი პედაგოგი და ცნობილი ხელოვანი. ზოგ მა, თავისი ნამოღვაწარით, მესხეთი და საქართველო გააცნო მსოფლიოს სხვა ხალხებს. ახალციხეში თეატრალური დასის დაფუძნებითა და სამსახიობო მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებასა და მათში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათლად ჩანს, რომ მისი დამსახურება მესხეთის წინაშე განუზომელია.

ნატო ყრუაშვილი

ზარზმობა-2015

„ამ ძეგლის შემქმნელ ერს მართლაც საამაყო ვაქვთ“!



ზარზმა. 11 ნოემბერი... გვიანი შემოდგომის ცივი, წვიმიანი, მაგრამ დაუვიწყარი დღე – დიდი სახალხო დღესასწაული. აქ დილიდანვე თავს იყრის მუნიციპალიტეტისა თუ მეზობელი რაიონების მოსახლეობის წარმომადგენლები. ქართული კულტურის სიდიადე, უიშვიათესი ძეგლი, ზარზმის სამონასტრო კომპლექსი მოზღვავებულ მრევლს ვერ იტევს. დღეს სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღეა.

ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს რამდენიმე ათეული წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ, ერთი პერიოდი, მიზეზთა გამო, მივიწყებას მიეცა, ორი წლის წინ კი კვლავ იქნა აღდგენილი და დაიბრუნა თავისი ფუნქცია.

ტრადიციული სახალხო დღესასწაულები დიდი მნიშვნელობის მატარებელია, ისინი ჩვენი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცნენ (ყველა კუთხის ტრადიციები ხომ რაღაცითაა გამორჩეული).

ერთი წუთით მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ თვით სერაპიონ ზარზმელსა და სამონასტრო კომპლექს ზარზმაზე:

„ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი“ გვაუწყებს: სერაპიონ ზარზმელი წარმოშობით კლარჯი ყოფილა. ჰყავდა ორი ძმა. ისინი ადრე დაობლებულან. წმ. სერაპიონს ბავშვობიდანვე იზიდავდა ეკლესიური ცხოვრება და ამიტომ თავის უმცროს ძმასთან ერთად დიდ მიქელ პარეხელს თავისი თავი შეჰვედრა: „მამასა სულითასა და მზრდელსა ობოლთასა, სასწაულთა და ნიშთა მოქმედსა“. ღირსმა მამამ მიიღო სერაპიონი, რადგან იგი მასში ხედავდა საღმრთო საქმისადმი დიდ მიდრეკილებას, მღვდლადაც აკურთხა და მის მიერ განსწავლული სერაპიონი და იოანე მოავლინა სამცხეს, მონასტრის ასაშენებლად.

წმ.სერაპიონს და იოანეს განსაკუთრებით მოსწონებიათ აქაურობა, შეურჩევიათ მშვენიერი მთა და იქ გადაუწყვეტიათ მონასტრის აგება. თუმცა, ადგილობრივებს ისინი იქიდან გაუძევებიათ. ბერებს იმედი მაინც არ დაუკარგავთ და მდინარის მეორე მხარეს ის ადგილი შეურჩევიათ, რომელიც მიქელს უხილავს გამოცხადებით. ეს ადგილი მხარის დიდი ფეოდალის გიორგი ჩორჩანელის გამგებლობაში ყოფილა. საბედნიეროდ, იგი, ნადირობისას, შეხვედრია რა იოანესი კი სამხრობამდე ბრწყინავდა.

ეკლესიის საძირკველი იოანეს მიერ არჩეულ ადგილზე ჩაყარეს, მაგრამ მშენებლობა, სამშენებლო მასალების, კერძოდ, ქვის უკმარისობის გამო, გაძნელებულა. გიორგი ჩორჩანელის რჩევით მშენებლობისთვის მიწისძვრისგან დანგრეული უმწის ეკლესიის ქვებიც გამოუყენებიათ და სამ წელში ტაძრის მშენებლობაც დამთავრებულა.

ცხადია, ყველა ძეგლს თავისი ისტორია და წარსული აქვს, რომელთანაც ბევრი ლეგენდა და თქმულებაა დაკავშირებული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ასევე, ის სიძველეებია, რომლებიც შეულამაზებლად წარმოგვიდგენენ მის ისტორიას. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო ძეგლია ბასილ ზარზმელის **„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“,** სადაც აღწერილია ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა ნიუანსი, რითაც კიდევ უფრო გვაახლოებს იგი მის სიდიადესთან, წმინდანობასთან.

სწორედ ამიტომ ქართველი კაცი, ვინც არ უნდა იყოს, დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს ამ დიდი ტრადიციების შენარჩუნებისთვის, რათა მომავალ თაობებს ესტაფეტასავით გადავცეთ ყოველივე ის, რაც ჩვენს დიდ წმინდანებთანაა დაკავშირებული.

სახალხო დღესასწაულები კი დიდ საშუალებას იძლევიან ამისათვის, რომლებიც, ასევე, გვიზიდავენ არა მარტი იმით, ვისთანაც იგია დაკავშირებული, არამედ იმითაც, რომ ყველა სახალხო დღესასწაულს თან ახლავს სტუმართა სიმრავლე და იმის წარმოჩინება, რისი პატრონები არიან თავად მასპინძლები, – რა შეგვიძლია და რას წარმოვადგენთ ამჟამად. ამ მხრივ, პირველ რიგში, საზოგადოების ყურადღებას იქცევს მასობრივი კულტურული ღონისძიებები, ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა, ის ხელნაკეთობები, რითაც ვაფასებთ მხარის კულტურულ ცხოვრებას...

ზარზმის სახალხო
დღესასწაული
დანიშნულ დროს
დაიწყო.
სტუმრებს ყურადღება
სცენისკენ გადააქვთ:
„ადიგენში მზე უნთია ირმის
ჭალებს
თრიალეთთან შაშვის
წვერზე შაშვი გალობს,
საქართველოს ამ მშვენიერ
ლამაზ კუთხეს,
დედამიწის ყველა კუთხე
ენაცვალოს...“

კითხულობს წამყვანი და ირგვლივ ქართული ლექსის საამო ხმა იფრქვევა...

შემდეგ სცენაზე უხმობენ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელს **ზაქარია ენდელაძეს**, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტს, **მეუფე თეოდორეს**, რელიგიის საკითხთა სააგენტოს თავმჯდომარეს **ზაზა ვაშაყმაძეს**, რომლებიც მიესალმნენ მოწვეულ სტუმრებს. თითოეული მათგანის გამოსვლაში ხაზგასმული იყო ზარზმის, როგორც ქართული კულტურის უნიკალური მემკვიდრეობა, **სერაპიონ ზარზმელის** როლზე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივები. ქორეოგრაფიული ანსამბლები – „ზარზმა“ (ქორეოგრაფი **ბაგრატ გავაშელი**), „ჭულე“ (ხელმძღვანელი **თამარ გოდელაძე**), სოფელ ზარზმის საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლი „ტაო“ (ხელმძღვანელი **ვანო ბალახაშვილი**), ფოლკლორული ჯგუფი (ხელმძღვანელი **აკაკი გელაშვილი)**, ინდივიდუალური შემსრულებლები: **ავთანდილ გელაშვილი, ეკა ჩიხრაძე, ციალა ჩილინგარაშვილი** და საქვეყნოდ აღიარებული ანსამბლის – „ერისიონის“ (მთ. ქორეოგრაფი **ლევან კუბლაშვილი**) და მასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „ელეონის“ მოცეკვავეები. ასეთი მაღალი რანგის ანსამბლებთან ერთად ადიგენელთა გამოსვლა საპატიოც იყო და დასამახსოვრებელიც.

ღონისძიების მსვლელობისას რამდენიმე რესპოდენტს შევხვდით და ვთხოვეთ „სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღესთან – ზარზმობის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოეთქვათ:

ბადრი პაქსაძე – დაბა ადიგენის მცხოვრები, ხალხური ინსტრუმენტების ხელოსანი: 30 წელზე მეტია ვამზადებ ხალხურ საკრავ ინსტრუმენტებს, ძირითადად – ბანისა და კლასიკურ ფანდურებს, აგრეთვე – სალამურებს, რომელთა რეალიზაციას რეგიონში ვახდენ. სახალხო დღესასწაულები საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებაა, აქ საშუალება გაქვს გაეცნო ხალხური რეწვის სხვა ოსტატთა ნამუშევრებს და სტიმული გეძლევა უფრო დახვეწო საკუთარი ხელოვნება. უფრო მეტიც, ყველა ანალოგიური ღონისძიება ხალხური რეწვის ოსტატთა ერთგვარი დათვალიერებაცაა.

თამარ ნიკოლაიშვილი – ადიგენის მცხოვრები: პირველ რიგში ყველას მინდა მივულოცო **„სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე – ზარზმობა“.** ჩვენი რაიონისთვის ეს დიდი დღესასწაული და იმის დასტურია, რომ ჩვენ კულტურული მემკვიდრეობის იმ დიდი საგანძურის პატრონები ვართ, როგორიც უნიკალური ძეგლი ზარზმაა, რომლის მსგავსი თითო-ოროლა თუ გვაქვს და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. კარგია, რომ აღდგა აღნიშნული სახალხო დღესასწაული. დიდი სურვილი მაქვს ტრადიცია გაგრძელდეს. მჯერა, რაც მეტი რეკლამა გაეწევა ამ სახალხო დღესასწაულს, მეტი სტუმარიც ჩამოვა და გაეცნობა ზარზმას.

მალხაზ ლომსაძე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი: დღეს მეტად მნიშვნელოვანი დღეა. ესაა საუფლო დღესასწაული. სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე მინდა მივილოცო სრულიად საქართველოს და ვუსურვო ღვთისმშობლის მადლი ფარავდეს თითოეულ მათგანს. დაე, სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე გამხდარიყოს ჩვენი ქვეყნის გამთლიანებისა და ეროვნული შერიგების საწინდარი.

საბჭოთა პერიოდიდან მოდის საუფლო და სასულიერო დღესასწაულები. ერთხანს, სასულიერო დღესასწაულების გადაკეთება უნდოდათ საერო დღესასწაულებად, თუმცა, მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ორივე ემსახურება ეროვნული ღირებულებების დაცვას, ესენი ერთმანეთის განუყოფელი ნაწილებია. საერო დღესასწაულებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ სრულიად საქართველოსთვის, საერო დღესასწაულები, ფაქტიურად, სახელმწიფო დღესასწაულებია და საეკლესიო დღესასწაულები – სახელმწიფო დღესასწაულები, ვინაიდან საერო დღესასწაულებიც ჩვენი ეროვნული დღესასწაულებია და, სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე, ჩვენი ეროვნული დღესასწაული და ეროვნული საკუთრებაა. არიან წმინდანები, რომლებიც ეროვნული წმინდანებია და არიან წმინდანები, რომლებიც

გაგრძელება მე-12 გვ. ▶

ზარზმა

ცეცხლით და ზარით დაეცა ზარზმას,
მაინც დაინთქა ურდო მონგოლთა,
ზარზმამ რამდენჯერ გაუძლო ჯვარცმას,
რამდენი ნახა ზარზმამ გოლგოთა.

შემდეგ იმძლავრა თურქმა და სპარსმა,
გვიტევდნენ სულის ამოხდომამდი,
იმ ქარიშხლებსაც გადურჩა ზარზმა,
ტალღებზე დადგა, როგორც ხომალდი.

მაგრამ სხვაც ახსოვს კარგი დრო ზარზმას,
თხისებრ დამფრთხალი თურქთა ბრბოები,
როცა ჯვრის სახედ შეკრულმა ვაზმა
გადაანათა უდაბნოები.

მაშინ ძლიერნი და მკლავმაგრები,
მტრებს თვით ზარავდნენ გაბატონებით,
მესხეთს მართავდნენ ათაბაგები
და ტახტზე ისხდნენ ბაგრატოვნები.

სამოთხეს ჰგავდა ქართლის მთა-ბარი,
უღრუბლო იყო ცა სხივოსანი,

მაშინ აქ იდგა ლოცვად თამარი
და ჯარს უძღვოდა დავით სოსლანი.

ამოდიოდა სამცხის ბაღებით
თვითონ რუსთველი – მეფე მგოსანი,
იქარგებოდა ზარზმის თაღები,
იხატებოდა გარდამოხსნანი.

და აბრმავებდა ჩუქურთმის მკაზმავს
ალბათ, თამარის შუქთა თოვანი,
და მაღლდებოდა ღრუბლებში ზარზმა,
ტაძარი – ნათელ-გუმბათოვანი.

გრიგოლ აბაშიძე

მიხეილ თამარაშვილი

(Michel Tamarati)

ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ქართველ-კათოლიკეთა პატრი, ევროპაში ცნობილი მიქელ თამარათის სახელით. მან სახელი გაითქვა თავისი ორი საფუძვლიანი დიდი ისტორიული შრომით: **„ისტორია კათოლიკობისა ქართველთ შორის, ნამდვილ საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“, თბილისი, 1902 წ. და „ისტორია საქართველოს ეკლესიისა“, ფრანგულ ენაზე, 700 გვერდიანი წიგნი, რომელიც დაიბეჭდა 1910 წ.**

მიხეილი (ერისკაცობაში ალექსანდრე) დაიბადა 1858 წელს ქალ. ახალციხეში (თამარათ – თამარაშვილების) ორსართულიანი ბანიანი სახლი დღესაც დაცულია რაბათში) ღარიბი მოქალაქის ოჯახში. ქართული წერა-კითხვა და პირველ დაწყებითი განათლება მიიღო ქვემო ეკლესიის სამრევლო სკოლაში ცნობილი მოღვაწის ი.გვარამაძის – ვინმე მესხის ხელმძღვანელობით. მამით ადრე დაობლებულმა მიხეილმა 15 წლიდანვე მოჰკიდა ხელი საარსებო შრომას: შეისწავლა ფეხსაცმლის კერვა და თავის ძმასთან ერთად მუშაობდა ამ ხელობაზე ხაშურსა და ახალციხეში. სწავლას მოწყურებულმა, მან 1878 წ. მოახერხა კონსტანტინეპოლს წასვლა, სადაც აბატ **პეტრე ხარისჭირაშვილის** დახმარებით შევიდა ქართველ-კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, მას ორი წლით ესპანეთში აგზავნიან „საბერ მონაზონის მოღვაწეობის განსავითარებლად“. ამის შემდეგ იგი შედის პარიჟის წმ. ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში. საქართველოში მიხეილი საკმაოდ განსწავლული ბრუნდება 1888 წ. და აპირებს აქვე დარჩენას სამსახურში, მაგრამ კათოლიკეთა ვიზიტატორი არელატი არლოვსკი, მას სამსახურზე უარს ეუბნევა და აძევებს თბილისიდან. თამარაშვილის დევნის მიზეზი ის უთანხმოებაა, რომელიც იმ დროს იყო გამწვავებული სომეხ და ქართველ სასულიერო წრეებს შორის. ამის თაობაზე პრესაშიც სწარმოებდა ცხარე ბრძოლა. სომხის მოღვაწენი ყველა ქართველ-კათოლიკებს, რომელთაც სომხური ტიპიკონი ჰქონდათ (მღვდელთ მსახურებას აწარმოებდნენ სომხურ ენაზე) სთვლიდნენ სომხების ჩამომავლობად და საერთოდ უარჰყოფდნენ კათოლიკურ მოძრაობას ქართველთა შორის, ხოლო მათი მოწინააღმდეგე ქართველი მწიგნობარნი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ სომხურად მლოცველ და ქართულად მოლაპარაკე ქართველთა ქართველობა და ეჩვენებინათ ისტორიული ფაქტები, რომლებიც საქართველოში იტალიიდან მოსულ მისიონერ-პატრების მოღვაწეობას ნათელ ჰყოფდნენ. ამ პაექრობაში სომეხ პუბლიცისტებთან განსაკუთრებული სიძლიერით გაისმოდა მღ, **ი.გვარამაძის** (ვინმე მესხის) ხმა (ამ კამათის შესახებ 60-70-იან წლების ქართულ პერიოდიკაში უამრავი წერილები იბეჭდებოდა, ხოლო სომხურ პრესაში განსაკუთრებულად ეხმაურებოდა ამ საკითხს გაზ. „მშაკი“ (1897-1898 წლის ნომრები).

მაგრამ ქართველთა აღიარებას მაინც აკლდა ისტორიული დამაჯერებლობა, საჭირო იყო ისტორიული კვლევა-ძიების წარმოება და ისეთი საბუთების გამონახვა, რომლებიც საბოლოოდ ნათელს ჰყოფდნენ საქართველოსა და რომის დიპლომატიური თუ სარწმუნოებრივი ურთიერთობის რეალობას წარსულში. თბილისიდან უსამართლოდ დევნილი ახალგაზრდა მღვდელი მიხ. თამარაშვილი ახალციხეში მიდის, სადაც მის მთელ ცოდნასა და შესაძლებლობას დიდ ყურადღებას აქცევს ხსენებული ვინმე მესხი ი.გვარამაძე და ურჩევს მას ისევ ევროპაში დაბრუნებას, სწავლის გაღრმავებას და ქართველ-კათოლიკობის ისტორიის დასაწერად საჭირო მასალების შეგროვება-შესწავლას რომში. თამარაშვილის თანხმობის შემდეგ, იგივე მოძღვარი კისრულობს ეკონომიური საღსარი აღმოუჩინოს მიხეილს ამ მაღალი მიზნების შესრულებაში.

ამგვარად, **მ.თამარაშვილი** თავის სამშობლოში დევნილი, მეორედ გაემგზავრა ბათომიდან ჯერ კონსტანტინეპოლს, შემდეგ, რომს. სწორედ ამ პერიოდში გაშალა მან თავისი მეტად ნაყოფიერი მუშაობა, რომელმაც საქართველოს ისტორიისათვის მეტად საგულისხმო და მანამდე სრულებით უცნობი ისტორიული წყაროებით გაამდიდრა მეცნიერება.

კათოლიკეთა ისტორიის გამოქვეყნებამდე ის გულდასმით აგრძელებდა თავისი ცოდნის გაგრძელებას. **„საზოგადო სწავლაში დიდად დახელოვნებულმა, ფილოსოფიაში უკვე გაწვრთნილმა, საღვთისმეტყველო საგნებს მიაპყრო ყურადღება და იმდენად წარმატებით შეიგნო ეს მეცნიერება, რომ ღვთისმეტყველებაში დოქტორის ხარისხით იქნა დაჯილდოებული“** (*გრ.ყიფშიძე –“ მღ. მიქელ თამარაშვილი“, ძვ.საქართველო, ტ.2, 1913 წ.*).

1891 წ. ფრანგულ გაზეთში მან დაბეჭდა ვრცელი წერილი ქართველ კათოლიკობაზე და ამავე წლიდანვე შეუდგა საარქივო მასალაზე მუშაობას ვატიკანის (რომში) სიძველეთა საცავში. მან უამრავი ისტორიული დოკუმენტები იპოვნა ქართველ მეფე-მთავართა, დედოფალთა და სასულიერო პირთა მიწერ-მოწერის სახით პაპებთან, რაც ბრწყინვალედ ჰფენდა შუქს საქართველოსა და რომის ეკლესიის მჭიდრო ურთიერთობას დაწყებული მე-13 საუკუნიდან. ყველა ეს დოკუმენტი მან სისტემაში მოიყვანა, გადათარგმნა ქართულად, მისცა კომენტარები და სათანადო გამოკვლევითურთ გადმოგზავნა საქართველოში დასაბეჭდად. მაგრამ დაბეჭდვას დიდი საღსარი უნდოდა. ამ საღსრის გაღება იკისრა ცნობილმა ქველმოქმედმა სტეფანე ზუბალაშვილმა და 1902 წ. მ.თამარაშვილის ავტორობით თბილისში დაიბეჭდა კათოლიკობის ისტორია ზემო ხსენებული სათაურით.



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვინმე მესხ ი.გვარამაძეს არ დაუკლია თავისი ზრუნვა და ეკონომიური დახმარება რომში მომუშავე მკვლევარისთვის. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მიწერ-მოწერა (იხ. ვინმე მესხის არქივი, საქმე №16) ამ ორ პიროვნებას შორის ნათელჰყოფს იმას, თუ როგორ ამხნევებდა თავისი სათუთი წერილებით მოხუცი მწიგნობარი ახალგაზრდა მკვლევარს, წარგზავნილს უცხო ქვეყანაში და როგორი ზრუნვით უგროვებდა მას საწირავებს (შეკვეთილი წირვებიდან მიღებულ თანხებს), რათა ცხოვრების პირობები შეემსუბუქებინა თავისი წარსულის ისტორიაზე მომუშავე მოღვაწისათვის.

თვითონ თამარაშვილიც, დაძაბული მუშაობის პერიოდში, ცდილობდა არ მოეკლო წერილები თავისი მზრუნველისათვის და თავს ვალდებულად თვლიდა ეცნობებინა ყოველი დეტალი თავისი ცხოვრებისა.

სხვათა შორის, ამ წერილებში ადამიანი მეტად საგულისხმო საისტორიო მნიშვნელობის მქონე ცნობებს იპოვნის. აი ზოგიერთი მათგანი:

1). ამ დღეებში ვიპოვე საბა-სულხან ორბელიანის წერილები – 7, რომლებიც მოურთმევია ფრანციის ლუდოვიკო მე-14 მეფისათვის;

2). ამ დღეებში აქ გამოიარა ალ.ცაგარელმა... დიდად ესიამოვნა ჩემი შრომა საქართველოს ისტორიის შესახებ და დიდად დამავალიანა, რომ შრომა არ დავზოგო და თავში გავიტანო ესა. ისიც ახლა აბეჭდინებს საქართველოს მოწერილებს რუსის მთავრობისადმი. ეს შეუკრებია პეტერბურგის არხივებიდან. ეს ცაგარელი დაეძებდა ქართულს ხელით ნაწერებს, მაგრამ აქ არაფერი იპოვა და აქედან წავიდა, თორე დელ გრექოში, სადაც 13 წიგნია ქართულად კაპუჩინების ხელით.

3). წერილებიდგან შევიტყვე, რომ აქ ყოფილა ვახტანგის ისტორია ხელით ნაწერი, მაგრამ, აქამდინ ვერ ვიპოვნე. იმედი მაქვს ვიპოვნი.

4). აგრეთვე შევიტყვე, რომ ვახტანგ მეფის შვილი ვახუშტი რომში მოსულა და აქ დაუწერია საქართველოს ისტორია. იქნება ამაზეც კიდევ რაიმე ვიპოვნო.

5). პარეზში ასზედ მეტი ხელთნაწერი ქართული წიგნები ყოფილან. მგონებ, ყველა ამ წიგნის კოპიო საქართველოშიც იქნება. ამ წიგნებითგან ბევრი თეიმურაზ გიორგი მეფის შვილს, ზოგი სოლომონ მეფის შვილს მიუცია და ზოგიც სხვა თავადის შვილებს, რომლებიც კი პარეზში მოსულან.

6). პაპს საბა სულხან ორბელიანისთვის, სხვათა შორის, მიუცია წმ. კლემენტის თავი და წა ჯვრის ნაწილები (მ.თამარაშვილის წერილი ი. ვინმე მესხისადმი 1898 წ. 7 ივნისი. ახალციხის მუზ. საარქივო ფონდი. საქმე №16).

გარდა ვატიკანის არქივისა, მიხეილს უმუშავია სიცილიის, თორედელ გრექოს, კაპუჩინების, პროპაგანდის სიძველეთა საცავებში.

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (Q 582) დაცულია ფოტოსურათების ალბომი „Antiguites de la Georgie“. ეს არის მე-17 საუკუნის იტალიელი მხატვრის ქრისტეფორე კასტელის სურათების ფოტოასლები, რომელიც მ.თამარაშვილმა იპოვა სიცილიაში და გადმოგზავნა საქართველოში. ალბომში წარმოდგენილია 125 სურათი შესაფერი წარწერით (ლათინურად და ქართული თარგმანით). აქ არის გორის ციხის, გიორგი სააკაძის, თეიმურაზ პირველის, ალექსანდრე იმერეთის მეფის, დადიანების, გურიელების, ათაბაგების, მათი ოჯახის წევრების, სასულიერო თუ სამოქალაქო წარჩინებული პირების სურათები და პორტრეტები. აქვეა დასავლეთ საქართველოს გლეხთა ყოფა-ცხოვრების გამომხატველი სურათები ამხსნელი ტექსტებითურთ. ალბომს ყდის ფურცელზე შიგნიდან წარწერა აქვს ქართულად: **„საკუთრება კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრისა“,** ხოლო გარედან ფრანგულად ოქროს ასოებით დაბეჭდილია:Antiguetes ole la Georgie („საქართველოს სიძველენი„). დასაწყისში I გვერდზე მოცემულია მიხეილ თამარაშვილის „შენიშვნა“ (იხ. დამატება I).

ამ ალბომის სურათები ერთად ერთი წყაროა XVII საუკუნის საქართველოს ყოფა ცხოვრების საილუსტრაციოდ. სხვათა შორის, კასტელის ზოგიერთი სურათი გადმობეჭდილია საქართველოს ისტორიის კურსის უკანასკნელ გამოცემაშიც (*ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი – „საქართველოს ისტორია„*).

ზ.ჭიჭინაძე ამ ალბომის შესახებ წერდა: **„1904 წ. 10 ივნისის „ივერიამ“ ცნობა მოგვიტანა, რომ მ.თამარაშვილს იტალიის ერთ-ერთს სამკითხველოში უპოვნია ერთი ძვირფასი ისტორიული წიგნი, სახელდობრ, საქართველოს აღწერა ლათინურს ენაზედ, სურათები დაბეჭდილია 1631-1654 წ. რომს. აღწერილი მისიონერის ქრისტეფორე კასტელისაგან, რომელიც იმ დროსვეა საქართველოში, საქართველო აუწერია მრავალნაირად და მერე სურათებიც დაუსტამბავს. ეს ძვირფასი წიგნი დიდი შრომით მოუძებნია მ.თამარაშვილს“** (*ზ.ჭიჭინაძე, „ქართველ კათოლიკეთა პატრი მ.თამარაშვილი“, თბ.1904. გვ.24*).

რაკი ჩვენი ისტორიკოსის საფუძვლიანმა შრომამ მოსალოდნელზე მეტი ნაყოფი გამოიღო, ევროპის სიძველეთ საცავებში აღმოჩნდა უტყუარი და ძვირფასი საბუთები, რომლებიც არა მარტო საეკლესიო ისტორიის საკითხებს აშუქებდა, არამედ ნათელს ჰფენდა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ და დიპლომატიურ ცხოვრების ისტორიასაც, ამის შემდეგ ქართველ მოღვაწეთა განცხადებასაც, მიმართულს სომეხ პუბლიცისტთა წინააღმდეგ, უფრო რეალური საფუძველი ეძლეოდა და მ.თამარაშვილიც დაეყრდნო რა ფაქტობრივ მტკიცებულ ნიადაგს, 1904 წელს გამოაქვეყნა პოლემიური ხასიათის ნაშრომი **„პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“**. ამ წიგნმა ერთგვარად ჯამი გაუკეთა მრავალწლიან პოლემიურს და დასაბუთებული პასუხი გასცა „მშაკის“ ფურცლებზედ გამოქვეყნებულ სტატიებს.

გარდა საჟურნალო და საგაზეთო პატარ-პატარა სტატიებისა, რომლებსაც ისტორიკოსი სხვადასხვა დროს აქვეყნებდა ევროპულიდან ქართულ პრესაში (იხ. თანდართული ბიბლიოგრაფია) 1910 წ. როგორც მოვიხსენიეთ, რომში ქვეყნდება თამარაშვილის დიდი ისტორიული გამოკვლევა „საქართველოს საეკლესიო ისტორია“ (მდიდრად ილუსტრირებული). ამ წიგნის გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპის წინაშე მთელი თავისი სიმდიდრით გადაიშალა არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიული ყოფა-ცხოვრება, არამედ თვალნათლივ ნაჩვენები იქნა ქართველი ერის მიერ შექმნილი უდიდესი კულტურა, ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრება. ევროპაში „მოკლე ხანში 50-ზედ მეტი რეცენზია დაიბეჭდა ამ წიგნის შესახებ შესამკობლად ევროპის ჟურნალ-გაზეთებში, უმთავრესი აზრი ამ რეცენზიებისა ის იყო, რომ ეს წიგნი **„ახალი ისტორიული გამოცხადება და აღმოჩენაა“**. მრავალი მოლოცვის წერილი მოუვიდა ავტორს“ (გრ.ყიფშიძე – მ..თამარაშვილი“, ძველი საქართველო, II).

ბიბლიოგრაფია

1. „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე მღ.მიხეილ თამარაშვილისა“. თბ.1902წ.;

2. მღ.მიქელ თამარაშვილი – „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“ (ისტორიული გამოკვლევა), თბ. 1904წ.;

3. მ.თამარაშვილი, „ბიბლიოგრაფია“ (Gli Armeni cattolicein Georgia e le guestioni…), „ივერია“, 1903 წ. №228,229,230,231,233,236.

4. ზ.ჭიჭინაძე, „ქართველ კათოლიკეთა პატრი მ.თამარაშვილი“, თბ. 1904 წ. გვ.32;

5. თ.სახოკია, „საისტორიო საბუთები, მიხეილ თამარაშვილი (წერილი პარიჟიდან“,

6. „ცნ. ფურცელი“, 1902, №1856. თ.ს.(სახოკია), მღვდ. მ.თამარაშვილი და მისი საისტორიო ნაშრომი „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. №1554;

7. მ.ჯანაშვილი, „ბიბლიოგრაფია (მ. თამარაშვილის ისტორია). „ივერია“, 1902 წ. №254;

8. „ოდისევსი პატრი მიხ. თამარაშვილი და მისი ახალი თხზულება“, „დროება“, 1909 წ.№64;

9. გრ.ყიფშიძე, „მღვ. მ.თამარაშვილი (ნეკროლოგი), „ძველი საქართველო“, 2, 1913;

10. ალ. ყიფშიძე, „მ.თამარაშვილი (ნეკროლოგი), „ნაკადული“, 1911 წ.№10;

11. ალ. ხახანაშვილი, „მ.თამარაშვილის ისტორიული შრომის შესახებ“, „ივერია“, 1900 წ. №225; 13. „მიქელ თამარაშვილი“, „თეატრი და ცხოვრება“, №11, 1920 წ..

12. გურგენიძე, „მიხეილ თამარაშვილი“, გაზ. „ხალხის მეგობარი“, №263, 21.09.1918;

13. პ.დევნილი – „ისტორიკოს თამარაშვილის შვიდი წლისთავის აღნიშვნა“, „ხალხის მეგობარი“, №266, 26.09.1918 წ.

ილია მაისურაძე,

შენიშვნა: ეს მასალა შედგენილია ჩემს მიერ. დაბეჭდილი არ არის

აკაკის საიუბილეო საღამო

2015 წელს სწორუპოვარი პოეტებისა და მამულიშვილების, აკაკისა და ვაჟას საიუბილეო თარიღი დაემთხვა. შერჩევითი სამართლის პრინციპიდან გამომდინარე ერთის წარმოჩენა მეორის დამცრობის ხარჯზე ხშირად გვჩვევია, რის გამოც არჩევანი აკაკიზე შევაჩერეთ.

ღვაწლმოსილი რეჟისორის ვანო გელაშვილის მხარდაჭერით აკაკისადმი მიძღვნილი ღონისძიების გამართვა დავგეგმეთ. ცნობილ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად „პიონერ-ფილმისა" და სასახლის აღსაზრდელების აქტიური მონაწილეობა საიუბილეო საღამოს მასშტაბურობას შესძენდა, მომავალ თაობას კლასიკისადმი ინტერესს გაუღრმავებდა და განუმტკიცებდა.

ილია-აკაკი-ვაჟა – ქართული მწერლობისა და მსოფლმხედველობის სამი უცვლელი, განმსაზღვრელი სიდიდე – ახალთაობელთა ჯანსაღი ცნობიერების ჩამოყალიბების ქვაკუთხედია, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უნივერსალური გზაა, რომელიც საქართველოს გაძლიერებასა და სამერმისო განვითარებას მოიცავს, ერის შინაგან კონსოლიდაციასა და ნაციონალური თვითშეგნების ზრდას განაპირობებს. მსოფლიო ქარტეხილების ფონზე მუდმივად შეგვახსენებს, არასდროს დავივიწყოთ – ვისი გორისანი ვართ.

ამა წლის 15 ნოემბერს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში აკაკის დაბადებიდან 175 წლისთავის საიუბილეო საღამოს აღსანიშნავად შეკრებილ საზოგადოებას ღონისძიების მესვეურებმა საგანგებოდ მიმართეს. ვანო გელაშვილის გამოსვლის შემდეგ „პიონერფილმის" (ხელმძღვანელი გრიშა ჩიგოგიძე) მოსწავლემ მარიამ გარსევანიშვილმა განაცხადა, რომ აკაკის საიუბილეო საღამოს პოეტი და კრიტიკოსი იკა ქადაგიძე გაუძვებოდა.

წამყვანმა შესავალ სიტყვაში აკაკის მოღვაწეობაზე გაამახვილა ყურადღება, მის პუბლიცისტურ საქმიანობაზე ვრცლად ისაუბრა, აღნიშნა, რომ საქართველოს ბულბულს ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად უმეტესად უწყვეტი და უშეღავათო ბრძოლების წარმოება უხდებოდა, ბასრი, სამართლიანი კალამი ამ უთანასწორო ბრძოლაში კლასიკოსს ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა.

აკაკის, როგორც ერთიანი საქართველოსთვის დაუღალავი მებრძოლის, განსაკუთრებული დანიშნულება ცნობილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ერეკლე საღლიანმა ჩვეული ხატოვნებით გამოკვეთა.

ღონისძიება დაამშვენა ფილმ „აკაკის აკვანში" აკაკის როლის შემსრულებლის, ომარ ჩიტაიას საინტერესო გამოსვლამ, რომელიც მუსიკალური ნომრით დაგვირგვინდა. მას თან ახლდნენ მომღერლები მიხეილ მცურავიშვილი, ამირან ასათიანი და კონსტანტინე გოგოლაშვილი. მათ მიერ შთამბეჭდავად შესრულებულმა სიმღერამ (ამ დროს დარბაზში ფილმიდან აჩვენეს კარდები) პუბლიკა აღაფრთოვანა. სასახლის ქართული ენისა და ლიტერატურის ხელმძღვანელების რუსუდან ყიფიანისა და რუსუდან ხოფერიას აღსაზრდელებმა: ლიზი ვეფხვაძემ, ნინო ჩიბურდანიძემ, თინა სამსონიძემ, დათო ბუღაძემ, ნიკა გუგუნავამ, ჟანა აშხატოიანმა, გიორგი თეთრაძემ და მარიამ მირცხულავამ დაკისრებულ მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვეს და სცენაზე აკაკის უკვდავი ლირიკა შთამბეჭდავად გააცოცხლეს. ექსპრომტების ოსტატმა პოეტმა მიმოზა ცანავამ საქართველოს ბულბულისადმი მიძღვნილი ლექსი საოცარი მუხტით წაიკითხა; მას არც ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ოთარ ფალიანი ჩამორჩა, რომლის პირველი პოეტური კრებულის – „ღია გალის" წარდგინება ახლახან ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა და ავტორს სამწერლო სივრცის აღიარება და სიმპატია მოუტანა. ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა გიგი ხორნაულმა თავისი გამოსვლა აკაკისა და ვაჟას ურთიერთობის თემაზე ააგო. მან აღნიშნა, რომ ბოლო დროს, მავანი ამ ორი გენიოსის გეზმიმართულ დისკრედიტაციას ეწევა, მათ, თითქოსდა, მტრულ დამოკიდებულებას წარმოაჩენს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, არავის არ აქვს უფლება ფაქტები თვითნებურად დაამახინჯოს და საზოგადოება ცდომილებაში შეიყვანოს. მანვე განაცხადა, რომ 1911 წლამდე სალიტერატურო ენაში არ არსებობდა სიტყვა „ფიფქი", რომლის შემოტანა და დამკვიდრება ვაჟას სახელთანაა დაკავშირებული.

სახელოვანმა მხატვარმა რეზო-ემელიანე ადამიამ საზოგადოებას ამცნო, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მისი ახალი წიგნი – „ერი, აკაკი და სამყარო" გამოიცა. მან მადლიერების ნიშნად საკუთარი ნაშრომი ო. ჩიტაიას, – „პატარა აკაკის" – უსახსოვრა, რომლის სახე თანატოლების მეხსიერებაში ჩაებეჭდათ.

და, აი, დარბაზში „პიონერ-ფილმის" ფილმი გაუშვეს, 100 წლის შემდეგ აკაკის მიერ განვლილი მოგზაურობის მარშრუტს დაადგნენ. დიდი წინაპრისადმი პატივისცემა ორიგინალურად რომ დაედასტურებინათ, ოსტატურად წაკითხულ ლექსებს სახალისო თავგადასავლები ბუნებრივად ავსებდა და ალამაზებდა.

დარბაზში ცნობილი კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი იმყოფება და თბილისის დინამოსადმი მიძღვნილი პოპულარული სიმღერა ააგუგუნა.

ცნობილი ლიტერატორისა და ორატორის თემურ ქორიძის ღრმაშინაარსიანი გამოსვლა აკაკის ფენომენის მასშტაბურ გააზრებას დაეყრდნო. მემკვიდრის თემის გაჟღერებამ ერთი ძველი ამბავი გამახსენა, ქუთაისის რომელიღაც დუქანში შესული ალექსი წერეთლის რეპლიკამ (დუქნის კედელზე აკაკის სურათი ამაყად ეკიდა) – აკაკი მამაჩემიაო, ქუთათურები იმდენად აღაშფოთა, საქართველოს ბულბულის ერთადერთი ვაჟი, რომელიც ევროპის არცთუ უსახელო ბალეტ-მეისტერი გახლდათ, ქართულის არცოდნის გამო დაუფიქრებლად მიჟეჟეს. ეს შემთხვევა ცხოვრებისეული პარადოქსის მერამდენე დასტურია!

ჩემს მიერ „დაჩაგრული" პოეტები თავიანთ რიგს მოთმინებით ელოდნენ, რაც მრავალფეროვანი პროგრამის საძნელო საქმე გამოდგა. ამერიკიდან „თავდაღწეულმა" მარინა თექთუმანიძემ პუბლიკას აუწყა, რომ დიდი ბებია წერეთლის ქალი ჰყავდა, ვისგანაც აკაკის შესახებ ბევრი საინტერესო ამბავი სმენოდა, თან სინანულით დააზუსტა, რომ, მცირე ასაკის გამო, მოგონებები ვერ ჩაიწერა. პოეტ რამაზ ბერაძეს, წამყვანის თხოვნამ, რეგლამენტის დაცვის თაობაზე, პროტესტი გაუღვიძა, თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და მან აკაკისადმი პატივისცემა ფილოსოფიური წიაღსვლებით გამოხატა. უნივერსალურმა ხელოვანმა, პოეტმა, მხატვარმა და კრიტიკოსმა მარსიანმა, აკაკის შემოქმედების საუკეთესო მცოდნემ და დამფასებელმა, საქართველოს ბულბულის ერთ-ერთი ლექსი დიდი გრძნობით წაიკითხა და გენიოსის თანმდებ განსაცდელზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა.

პროფესორმა ლადო მინაშვილმა (მან ილიასა და აკაკის შემოქმედებას საგულისხმო ნაშრომები მიუძღვნა), აღნიშნა, რომ 2015 წელი „იუნესკოს" მიერ აკაკის წლადაა გამოცხადებული და ამ ღირსსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით თსუ-ში გამართულ კონფერენციებზე ქართველი მეცნიერების მონაწილეობა მისასალმებელი ფაქტია. ღვაწლმოსილმა მწერლებმა ბონდო არველაძემ და რევაზ კვერენჩხილაძემ გამოსვლებისგან თავი შეიკავეს და ღონისძიების მსვლელობას თვალყური დინჯად მიადევნეს. ცნობილი პოეტის დალილა ბედიანიძის აკაკისადმი მიძღვნილი ლექსი საჯაროდ ვერ გაჟღერდა, ზოგჯერ გარემოებათა გამო ჩანაფიქრი იცვლება.

გიგი ხორნაულის მეუღლემ, მშვენიერმა მკვლევარმა ნანა კოტტეტიშვილმა 1909 წელს შორეულ აღმოსავლეთში გამოცემული აკაკის აფიშის ასლი წარმოადგინა, რომელიც ქართველი კლასიკოსის აღიარების დასტურია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იყო გარდაბნის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აქტიური წევრების შესანიშნავი გამოსვლა. გარდაბნის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგის ნანა სამხარაძის ხელმძღვანელობით მოსწავლეები საბა და ლუკა ღულუნიშვილები, ბექა ლობჟანიძე, თათა და თაია ზვიადაურები და სანდრო ნიჟარაძე დედაქალაქს აკაკის საიუბილეო საღამოზე დასასწრებად ეწვივნენ და არაჩვეულებრივი გამოსვლებით საზოგადოების გული მოინადირეს. რეგიონებთან სისხლხორცეულ კავშირს ქართული კულტურის განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება და დიდად სასიხარულოა, როცა ორმხრივი კავშირი ხორციელდება!

იკა ქადაგიძე

წარჩინებულები დაჯილდოვდნენ

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ქვეყნის განათლების სფეროს სრულყოფისა და მისი განვითარებისათვის. მომავალი თაობის აღზრდა, მათში ზოგადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და თანამედროვე დონეზე განათლების მიღება ხელისუფლების უპირველესი ამოცანაა. აქედან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მზრუნველობას არ აკლებს მაღალმთიან რეგიონებსა და, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონს. ამის ნათელი დადასტურება იყო ამ დღეებში თავად მინისტრის, ქალბატონ თამარ სანიკიძის სტუმრობა ჯავახეთში. შეხვედრა გაიმართა ახალქალაქის ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე საჯარო სკოლაში, სადაც მოწვეულები იყვნენ რეგიონის რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების დირექტორები, წარჩინებული მოსწავლეები.

ქალბატონმა თამარ სანიკიძემ შეხვედრაზე ისაუბრა იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რასაც, უკანასკნელ პერიოდში, სამინისტრო ეწევა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

მოსწავლეთა შემდგომი წახალისების მიზნით, სამინისტროს გადაწყვეტილებით, პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ რეგიონის საბაზისო სკოლების ყველა კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლე, ვინც ბოლო სამი წლის განმავლობაში ფრიადოსანი იყო. მინისტრმა და მოწვეულმა სტუმრებმა – რეგიონის გუბერნატორმა აკაკი მაჭუტაძემ, მუნიციპალიტეტის გამგებლებმა საზეიმოდ გადასცეს დაჯილდოებულებს საჩუქრები. მათ შორის პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ: ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლების – 18 მოსწავლეს, ახალციხის – 44-ს, ნინოწმინდის – 6-ს, ასპინძის – 1-ს, ადიგენის – 15-ს და ახალქალაქის – 6 მოსწავლეს.

საკუთარი ინფორმაცია

„ᲓᲔᲭᲡᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲖᲘᲣᲠᲝᲓᲘ"

ავთანდილ ივანიძის პოეზიის საღამო

პოეზიის საღამო, რომელიც ახლახან ჩატარდა ქალაქ თბილისის N70 საჯარო სკოლაში, მიეძღვნა ამავე სკოლის ხელოვნების მასწავლებლის – **ავთანდილ ივანიძის** შემოქმედებას. საღამო გახსნა სკოლის ისტორიის მასწავლებელმა **ლალი ჯაყელმა**, რომელმაც შთამბეჭდავად დაახასიათა როგორც ა. ივანიძის პიროვნება, ისე მისი მაღალმხატვრული, გულში ჩამწვდომი ლექსები.

პოეტის ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა და მოწვეულმა პოეტებმა; მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს მღეროდნენ პატარები (მუსიკა დაწერა ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებელმა **ფოთოლა ნონიაშვილმა**). **ა. ივანიძე** არა მარტო პედაგოგი და პოეტია, არამედ შესანიშნავი მხატვარიც. ეკრანზე აჩვენეს მის მიერ შესრულებული ნახატების რეპროდუქციები, რომლებიც ამშვენებენ სკოლის ყველა სართულს, მის წიგნებს და ხელოვნების კაბინეტს.

სტუმრად მოწვეული იყვნენ ავ. ივანიძის მეგობრები: პოეტი და მსახიობი **ელდინო საღარაძე**, პოეტი, ჟურნალისტთა კავშირის გენერალური მდივანი **მარინა თექთუმანიძე, დალი მაზმიშვილი** და **რამაზ ბერაძე**. მათ გულწრფელად ისაუბრეს ბატონ ავთანდილის შემოქმედებაზე, მისი ლექსების მხატვრულობასა და მელოდიურობაზე.

პოეზიის საღამოს ორგანიზატორები იყვნენ სკოლის მუსიკის მასწავლებელი **ფოთოლა ნონიაშვილი**, ხელოვნების მასწავლებელი **ნანა პირტახია** და ისტორიის მასწავლებელი **ლალი ჯაყელი**.

ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო სკოლის დირექციის (დირექტორი ვალერიან გიორგაძე, მოადგილე **ნინო გოგსაძე**) მხარდაჭერამ და გულისხმიერმა დამოკიდებულებამ. ღონისძიებას პოეტის მრავალი გულშემატკივარი დაესწრო: მოსწავლეებთან ერთად აქ იყვნენ მათი მშობლები, პედაგოგები, მოწვეული სტუმრები.

ნიშანდობლივია, რომ **ავთანდილ ივანიძეს** იმ დღეს 69 წელი შეუსრულდა; ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და არ ჩაუქროს შემოქმედებითი ცეცხლი, რომელიც უფალმა უხვად უბოძა მას.

ნარგიზა კახაძე

„განათლება არს უმტკიცესი და უსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“

სოლომონ დოდაშვილი

„ამ ძეგლის შემქმნელ ერს მართლაც საამაყო გაქვთ“!

◄ დასაწყისი გვ. 9

საერთაშორისო წმინდანებია. ასეთ შემთხვევაში, სერაპიონ ზარზმელი ჩვენი ეროვნული წმინდანია. ეს, პირადად, ჩემი სუბიექტური აზრია. ეს წმინდა ქრისტიანული დღესასწაული – თქვენი სამზარეულო. ესაა რაღაც სასწაული, – ყველაფერი ნატურალური. თქვენ სხვანაირად იცით სახალხო დღესასწაულების აღნიშვნაც. მე ზარზმის სამონასტრო კომპლექსის ხილვამ გამაოგნა. საქართველოში ბევრი ეკ-

ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა. ქრისტიანობის, უპირველესად, მართლმადიდებლობის გარეშე ჩვენი ერის ისტორია წარმოუდგენელია! მართლმადიდებლობა ყოველთვის იყო ჩვენი ეროვნული სულიერების, თვითმყოფადობის დამცველთა სადარაჯოზე.

ედუარდას სირიონესი – ლიტველი სტუმარი: მე გახლავართ ლიტვიიდან. ვცხოვრობ ვილნიუსში. უკვე მეექვსედ ვიმყოფები საქართველოში. მე აქ ყველაფერი მომწონს, განსაკუთრებით მიყვარს ფეხით მოგზაურობა. ყველა რეგიონი მაქვს შემოვლილი. ადიგენში პირველად ვარ. ცოტა ხანი შევჩერდი ზარზმაში და გაოცებას ვერ ვმალავ თქვენი სახალხო დღესასწაულით. მოხიბლული ვარ აქაურობით. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ძალზე მაღალი მთებია, ღამაზი ტყეები, მდინარის ხეობა; მეორე, იმიტომ, რომ ხალხი ძალზე გულთბილი და სტუმართმოყვარეა, იშვიათად თუ შეხვდებით მსგავს ხალხს; მესამე ლესია-მონასტერი მინახავს, ყველა თავისებურად, თავისი სიდიადით გამოირჩევა, მაგრამ ზარზმა სხვაა, იგი ჩემთვის აღმოჩნაა... საოცრებაა! რომ იტყვიან, მართლაც ამაყური გამოხედვა აქვს, თითქოს სხვის დაჩრდილვას ცდილობს, ამის საბაბიც აქვს, ცხადია... ამიტომ არც კი გამკვირვებია, მისი ამშენებლის ხსენების დღე ასე რუდუნებით რომ აღინიშნება. რომ არ აღნიშნოთ, არც გეპატიებათ, უმადურობა იქნებოდა თქვენი დიდი წინაპრის მიმართ....

სახალხო დღესასწაული გრძელდება... ცეკვა, სიმღერა... ბუნების ჭირვეულობა გავლენას ვერ ახდენს საზეიმოდ შეკრებილ მრევლსა და სამღვდელოების წარმომადგენლებზე.

მოწვეულ სტუმართა შორისაა მხარის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე, მეზობელი მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომრები, გამგებლები და სხვა ოფიციალური პირები.

ავთანდილ ბერიძე

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია დიდ მადლობას უხდის შპს „არალის“ დირექტორს ბატონ ოთარ თათეშვილს გაზეთის მიმდინარე ნომრის აწყობა-დაკაბადონების საქმეში გაწეული ფინანსური დახმარებისათვის.

ღესასწაულები და ღესასწაულებთან დაკავშირებული წესები

ახალი წელი (ახალწელიწადი)

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. N1-2, 2015წ.)

ჯავახეთში ყველაზე დიდ საზეიმო დღედ ახალწელიწადი და აღდგომა ითვლებიან. პატარები დიდი ხნით ადრე ელოდებიან ამ დღეებს. დიდები კი დიდი ხნით ადრე ემზადებიან ამ დღეების შესახვედრად. ჯავახი განსაკუთრებით ახალწელიწადს თვით უახლოეს ნათესავებთანაც კი ერიდება სტუმრობას. ცდილობს ამ „ბედნიერ დღეს“ თავის ოჯახში იყოს. თუ რამე აქვს მეზობლებში განათხოვრებული, იმასაც ოჯახში მოიტანს. არ ვარგაო, ამ დღეს საოჯახო ნივთების სხვის ოჯახში დატოვება, ირწმუნებიან ხშირად. ახალწლის წინა დღით ქადა-ნამცხვრების ცხობას შეუდგებოდნენ: ქადას და სხვა ნამცხვრებთან ერთად აცხობდნენ: წმ.ბასილს (კაცის ფიგურას). ძროხის ძუძუებს (რგვალ პურზე ძროხის ცურის მსგავსად გააკეთებდნენ), ცელის, ხარის რქების, კავების, ფულის ქისის ფიგურებს აკეთებდნენ, რომლებსაც ახალწლისთვის ოდის კედლებზე და ბოძებზე ჩამოკიდებდნენ, ჩიტებს საკენკს დაუყრიდნენ, ყველასათვის უნდა გაეჩინათ საზრდო.

საღამოთი მოამზადებდნენ სუფრას: სუფრაზე დატოვებდნენ თაფლს, ქადა-ნამცხვარს, ბედის ქადას და სანთლებს.

დილით, ვიდრე გაშუქდებოდა, ოჯახის უფროსი, ან სხვა, ვისი ფეხიც კარგად ექნებოდა ოჯახს დაცდილი (ოჯახის წევრი), ადგებოდა, აიღებდა სუფრას და ავიდოდა ბანზე. სუფრას სანთლები ენთო წყვილი – 2 ან ოთხი ცალი. ერდოს შემოუვლიდა რამდენჯერმე გარშემო და ერდოდან (სანათურიდან) ჩამოაგდებდა სახლში ბასილს. თუ ბასილი ისე დაეცემოდა, რომ თავი ბუხრისკენ ექნებოდა და ფეხები კარებისკენ, კარგი იყო და იმ წელიწადს ოჯახს ბედნიერება ელოდა, თუ არა და, არ ვარგოდა, ან შეიძლება ბედის ქადა ჩამოეგდო. ქადაც თუ სწორედ დაეცემოდა (ე.ი. ისე, რომ ძირი მიწაზე ექნებოდა და პირი მაღლა), კარგი იყო. ამის შემდეგ ოჯახის მეკვლე ჩამობრუნდებოდა და შემოვიდოდა სახლში, თან ამ სიტყვებს ამბობდა:

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი.

ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“... და სხვა.

აიღებდა ბასილს და დასდებდა ხონჩაზე (სუფრაზე). ამის შემდეგ ოჯახის ყველა წევრს – უფროსიდან დაწყებული უნცროსამდე, მიაწოდებდა თაფლში ან სხვა ტკბილეულში ამოვლებულ პურის ნაჭერს და მიაწოდებდა – ასე ტკბილად დამიბერდიო – ეტყოდა.

ოჯახის წევრების ტკბილად დაბერებას რომ მოათავებდა, ახლა საქონელს დააბერებდა: ხარს პურს შეაჭმევდა, ცხვარს კაკალს შეუგორებდა: ასე მრგვალი წელიწადი მოიარეო. ზოგან იცოდნენ ამ დროს: უფროს (ხნოვანსა და ოჯახის მოამაგეს) ხარს გამოიყვანდნენ, ოდის კარებში დააყენებდნენ, რქებზე სანთლებს აუნთობდნენ, თავი ბუხრისკენ უნდა ჰქონებოდა და თან კაკლებს გაუგორებდნენ.

საქონელსაც რომ მიუმკვლევდნენ, ამის შემდეგ მიაშურებდნენ წყალს. ყველა ცდილობდა მოესწრო და სხვაზე წინ გაეშვა წყლისკენ. პურს წაიღებდნენ და ჩაუყრიდნენ წყალში, თან აავსებდნენ ვედრებს და გამოუშვებდნენ სახლისაკენ.

ამ დღეს (უკეთ ღამეს) ცოტა ხანს წყალიც ჩერდება, – „ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვა“ – იტყვიან. ვინც მიუსწრებს, ამ დროს და შეჩერებულ წყაროდან პირველ გადმოდენილ წყალს აავსებს და სახლში მიიტანს ისე, რომ უკან არ მოიხედავს, მოტანილი წყალი ოქროდ გადაიქცევა. ამაზე არსებობს თქმულება: ერთხელ წავიდა ერთი ჩვენი მეზობელი წყალზე ახალწელიწადს. ნახა, რომ წყალი გაჩერებულა და აღარ დის. მიხვდა მაშინვე და მოუცადა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოდინდა. აავსო ვედრები და საჩქაროდ სახლისკენ გასწია, მაგრამ, ორიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადმოდგმული, რომ საშინელი და შემაძრწუნებელი ძახილი მოესმა: „წყალი მიაქვს, წყალი მიაქვს„! – იძახდა, მიწა, ქვა და ხე. თავს ძალა დაატანა, იმდენი მოახერხა, რომ სახლის დერეფნამდე მიაღწია. დერეფანშიც რომ შეეხმიანნენ კედლები და ძელები, გულშეღონებული დაეცა ძირს და წყალიც დაეღვარა.

ახალწელიწადს სახლში ცარიელი არავინ შემოვიდოდა. ყველას რაღაც უნდა შემოეტანა. ზოგან იცოდნენ, წინადღით დააპობდნენ შეშას და კარებზე დაალაგებდნენ, ვინც გარეთ გავიდოდა და შემობრუნდებოდა, აიღებდა სამ ნაპობს და შემოჰქონდა სახლში. ბუხარში დიდ კოჩოს დააგდებდნენ ცეცხლწაკიდებულს. შემომსვლელი შემოტანილ ნაპობებს უჩხვლეტდა კოჩოს. ნაპერწკლები რომ გასცვივდებოდა, იძახდა: „ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა, ამდენი საქონელი და დოვლათიო“ და სხვა.

ამასობაში მეკვლეც ეწვეოდა (მეკვლეს წინდაწინ დაუთქვავდნენ და ირჩევდნენ იმას, ვის ფეხსაც კარგად დასცდიდნენ). მეკვლე სუფრით მოდიოდა, ზღურბლს რომ გადმოაბიჯებდა, დერეფნისას ეტყოდა:

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,

ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა“.

სამჯერ გაიმეორებდა ამას და ისე შევიდოდა სახლში. მოულოცავდა ოჯახის წევრებს: ბედნიერი და მხიარული წელიწადი მოგსვლოდეთო. მოკეთე გაგიმარჯოთ, მტერი დაგემარცხებინოთ“. თან ტკბილეულით დააბერებდა. ასევე ტკბილეულით დააბერებდნენ ოჯახის წევრები მეკვლეს: ჰალვას, გოზინაყს, ვაშლს ან სხვა ასეთს უკვლევდნენ.

მეკვლეს ქვეშ პარკში ჩაყრილ ნაწმენდს დაუტოვებდნენ და ზედ გადააჯვდენდნენ, არ უნდა ამდგარიყო და სიარული არ უნდა დაეწყო, თორემ კრუხი აღარ დაუჯდებოდათ კვერცხებზე.

გამართავდნენ სუფრას. მოიტანდნენ მოხარშულ ღორის თავს და დაიწყებდნენ ქეიფს, ბავშვები კი ამ დროს სათამაშოდ გაეშურებოდნენ სადმე, კარგ ყინულს ან მშრალს მოსძებნიდნენ, იქ გამართავდნენ კაკლობანას თამაშს.

ოჯახში ქეიფს რომ მოათავებდნენ, შეკაზმავდნენ სუფრას, მეკვლეს და გაისტუმრებდნენ.

საერთოდ, ჯავახს მიაჩნდა, რომ ახალწელიწადს წყდება მთელი მომავალი წლის ბედ-იღბალი, ამიტომაც ამ დღეს მეტად თავდაჭერილად იქცევიან, ერიდებიან როგორც ოჯახში, ისე გარეთ. არ შელაპარაკდებიან, რომ არ დაებედოთ ჩხუბი და აყალმაყალი.

ერიდებოდნენ აგრეთვე შიშველი ფეხის მინაზე დაკარებას, მინა მნვარა (მუწუკი) გამოგვივაო. კაკალსაც არ დაანტვრევდნენ, კავები დაგვენტვრევაო.

ამასთანავე, სწამდათ, რომ თუ ოჯახის ანგელოზი კეთილი თვალით შეხედავს ოჯახს, მაშინ ტახტებზე, თავქვეშ და სხვა, პურის მარცვლებს დასტოვებსო. რაც ოჯახის უდიდესი ბედნიერების მომასწავლებლად ითვლება.

ახალწლის მეორე დღე იყო „ბედობა“. ჯავახს სწამს, რომ განსაკუთრებით ამ დღეს ებედება ადამიანს თავისი მთელი წლის ბედ-იღბალი. ამიტომ ამ დღეს შეეცდებოდა უსაქმოდ არ ყოფილიყო, დილით ადრე ამდგარიყო, რაიმე სარგებელი შემოეტანა ოჯახში და სხვა. ერთი სიტყვით, ყოველივე ის უნდოდა გაეკეთებინა, რაც სურდა, რომ ამ წელს დაბედებოდა.

საღამოთი ბედის-ქადას გასჭრიდნენ (ბედის ქადა შედარებით სხვებთან, უფრო მოზრდილი იყო და გულში ვერცხლის ფული ჰქონდა ჩატანებული). იმდენ ნაწილად ჭრიდნენ, რამდენიც იყვნენ ოჯახში. ზოგჯერ იმათაც მიათვლიდნენ, თუ ელოდნენ, რომ გაუჩნდებოდათ შვილი, ან თუ ქალი ჰყავდათ დანიშნული და ჯერ არ მოეყვანათ. ნაჭრებს ოჯახის უფროსი გაუნაწილებდა ოჯახის წევრებს, ვისაც ფულიანი ნაჭერი მოჰყვებოდა, ის იღბლიანად ითვლებოდა.

მთქმელი **სიკო მელიქიძე**,
ბორჯომის რაიონი, სოფ. ბალანთა,
ჩაიწერა **გიორგი ზედგინიძემ** 1948 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com